რუსუდან ჯანაშია

უბიხური ენა

თბილისი 2015



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო
სსიპ ჩერქეზული (ადიღური) კულტურის
ცენტრი

სსიპ ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრი აგრძელებს თანამშრომლობას პროფ. რუსუდან ჯანაშიასთან, რაც ჟ. დიუმეზილის შედარებითი ხასიათის მონოგრაფიის „შესავალი ჩრდილოკავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში" ერთობლივი გამოცემით დაიწყო. ამჯერად ქართულენოვან მკითხველს, პირველად ქართული კავკასიოლოგიის ისტორიაში, შესაძლებლობა ეძლევა, წარმოდგენა შეიქმნას ერთ-ერთი ჩერქეზი ხალხის უბიხების ურთულესი ენის შესახებ. უბიხური ენა, როგორც სასწავლო კურსი, რუსუდან ჯანაშიამ შექმნა. უბიხური ენა იკითხებოდა და დღესაც შედის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში. სამწუხაროდ, რუსული გენოციდის შედეგად უბიხები გადაშენდნენ, მაგრამ გამოჩენილ ლინგვისტთა (იულიუს ფონ მესაროში, ჟორჟ დიუმეზილი, ჰანს ფოგტი, გიორგი შარაშიძე...) თავდაუზოგავი შრომის წყალობით უბიხური ენა შედარებით სრულად აღიწერა და შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში. და დღეს ჩვენი სტუდენტები, მაგისტრანტები, დოქტორანტები, უკვე ქართულ ენაზე, გაეცნობიან უბიხთა ენის უმდიდრეს სამყაროს, ხოლო ჩერქეზული ცენტრი კვლავაც გააგრძელებს მუშაობას ჩერქეზული მემკვიდრეობის წარმოსაჩენად, რასაც ქართულ-ჩერქეზული კულტურული ურთიერთობების შემდგომი განვითარება უდევს საფუძვლად.

რედაქტორი **პროფ. მერაბ ჩუხუა**
რეცენზენტები : **ნინო აბესაძე**
ლევან კოჭლამაზაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა : **რუსუდან გრიგოლია**

ISBN : 978-9941-461-04-0

© სსიპ ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრი

უბიხები და უბიხური ენა

1864 წლის 21 მაისს, პეტერბურგში აღავლინეს საზეიმო პარაკლისი რუსეთ-კავკასიის ომის დამთავრების გამო. ეს თარიღი ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის დღემდე მძიმედ გასახსენებელია. ისინი ყოველწლიურად 21 მაისს პატივს მიაგებენ მუჰაჯირობის მსხვერპლ წინაპართა ხსოვნას.

რუსეთის ინტერესები კავკასიის მიმართ ბოლო 4 საუკუნის განმავლობაში განსაკუთრებული იყო, მაგრამ ეს ინტერესი გაცხოველდა მე-18 ს.-ის II ნახევარსა და მე-19 ს.-ის 20-იან წლებში.

ერთ-ერთი პირველი ანტიიმპერიული გამოსვლა იყო ჩეჩენ შეიხ მანსურისა 1780 წელს. სამწუხაროდ, ყველა მისი გაბრძოლება მარცხით დამთავრდა. კავკასიის გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა მუდამ იზიდავდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის დიდ იმპერიებს. მე-19 საუკუნის რუსეთს გაჰყავს „სამხედრო-ქართული გზა“ (**воен.-груз. дорога**) დარიალზე. ძველი დროიდან მოყოლებული იბრძოდნენ ამ ხეობის ხელში ჩასაგდებად; ეს იყო ბერკეტი, რომლითაც შეიძლებოდა კავკასიის რეგიონის გაკონტროლება.

მე-19 ს. 20-იანი წლებიდან რუსეთის იმპერიამ განიზრახა შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ „სანაპირო სახმელეთო გზის“ გაყვანა.

1820-იანი წლებისთვის ოტომანთა იმპერია შემცირდა დღევანდელ საზღვრამდე. 1829 წლის ადრიანოპოლის ზავით მეფის რუსეთმა დათმო დუნაის სანაპიროები, აღიარა საბერძნეთის დამოუკიდებლობა, ვლახეთის, მოლდავეთის ავტონომიები, სამაგიეროდ, სულთანმა, რუსეთს გადასცა თავისი უფლებები შავი ზღვის კავკასიის სანაპიროსთან მიმართებაში. თურქების მიერ დაარსებული ანაპის, სუჯუკ-კალესა და სუხუმ-კალეს ციხე-სიმაგრეები ევაკუირებული იქნა. 1830 წლიდან პასკევიჩის ცნობილი „აფხაზური ექსპედიცია“, განხორციელებული გენერალ ჰესეს მიერ, მარცხით დამთავრდა რუსი

ოფიცრობისთვის. პასკევიჩის გეგმა იყო: აფხაზები ჩამოეშორებინათ ჩრდილოელი მონათესავე ტომების, ჩერქეზებისა და უბიხებისაგან, მეორე მხრივ, გაეყვანათ „სამხედრო სანაპირო გზა“ ჩრდილოეთიდან, ანაპიდან სამხრეთისაკენ, სოხუმამდე. მიუხედავად მარცხისა, რუსთა მხედრობამ გააგრძელა ბრძოლა ჩერქეზების (შაფსუღებისა და ნათხუაჯების) და სხვა „ველური“ ტომების წინააღმდეგ. ამ მიზნით დაიწყეს ფორტიფიკაციულ ნაგებობათა შენება, რომელთა საშუალებით გაუწევდნენ წინააღმდეგობას ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც არ ეგუებოდა მათ სამშობლოზე თავდასხმასა და იმ ბარბაროსულ, არაადამიანურ მეთოდებს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ჩრდილოელი მეზობლები.

არსებული მდგომარეობა ყველაზე მეტად აზარალებდა შავიზღვისპირა ჩერქეზებს, უბიხებსა და აფხაზებს. ყველაზე მედგარ წინააღმდეგობას წევდნენ უბიხები, რომლებსაც გეოგრაფიულად შუალედური ადგილი ეჭირათ ჩერქეზებსა (ჩრდილოეთით) და აფხაზ ტომებს (სამხრეთით) შორის.

უბიხთა ტერიტორია ზღვის გასწვრივ სულ 35 ვერსს (= 37 კმ.) შეადგენდა. იგი იყოფოდა სამ ძირითად ერთეულად: 1. მთიან ზოლად (კავკასიონის ჩრდ.-დასავლეთ ფერდზე) და ზღვის სანაპიროს გასწვრივ; 2. ჩრდილოეთით ვარდანედ და 3. სამხრეთით საშედ (საჩა || სუაჩა, თანამ. სოჩა). რაოდენობრივად უბიხები ყველაზე მცირერიცხოვანნი იყვნენ აფხაზურ-ჩერქეზული ჯგუფის ხალხებში. სხვადასხვა მონაცემებით, ისინი 40 000 იყვნენ. ყველაზე კარგად ენა მთიან ზოლში იყო დაცული. მათთვის ძალიან ახლობელი იყო ჩერქეზული. ამიტომაც მათ მოგზაურები, მეცნიერები ჩვეულებრივ ჩერქეზებში მოიხსენიებდნენ.

უბიხთა მიწა-წყალი საოცრად ლამაზი და მიმზიდველი იყო: რელიქტური სამშიტისა და ურთხმლის ჯიშის ტყეები, სამკურნალო გოგირდოვანი წყლები: მაცესტა, აგურა; წყალუხვი მდინარეები: ბუ, შახე, ვარდანე, საშე, ხამიში (ხოსტა).

უბიხები მთაში მისდევდნენ გადარეკვით მესაქონლეობას, ბარში კი — მიწათმოქმედებას; ვარდანეს რაიონი ცნობილი იყო ხეხილის ბაღებით. განთქმული ყოფილა იქაური ქლიავის ჯიში. ეს რეგიონი

შემდგომში რუსეთის მეფის ძმის, დიდი მთავრის — მიხეილის საკუთრება გამხდარა. ეწეოდნენ ვაჭრობას თურქეთთან...

უბიხებს განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდათ ზღვისპირა ჩერქეზებთან. მათი სახელი გახმაურდა მე-19 ს. 20-იან წლებში, როცა დაიწყო რუსეთის იმპერიის სამხედრო ძალების შემოტევა. სანაპირო ხაზის გაყვანა, რომელიც 500 კმ. სიგრძეზე უნდა გადაჭიმულიყო, შავიზღვისპირა კავკასიელი მთიელების სასიცოცხლო ინტერესებს სასტიკად ლახავდა. ისპობოდა საშუალება ზამთარში თბილი ზღვისპირა საძოვრებით სარგებლობისა. რაც მთავარია, ამას მოსდევდა გარე სამყაროსთან ურთიერთობის შეწყვეტა როგორც სავაჭრო, ისე იმ რეგიონში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისა.

ამ დროისათვის რუსეთის მიერ კავკასიის დასაპყრობად გაჩაღებული ომი, ნიკოლოზ I-ის თქმით, მიზნად ისახავდა „...მთიელების საბოლოო დაშოშმინებასა და ურჩების საბოლოო განადგურებას“ (ნიკოლოზ I-ის პასკევიჩისადმი მიწერილი რესკრიპტიდან).

ყველაზე შეურიგებელნი ამ ბრძოლაში უბიხები აღმოჩნდნენ. მიუხედავად ძალიან დიდი მსხვერპლისა, ისინი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. ისინი ცდილობდნენ ჩერქეზი ტომებისა და აფხაზების გაერთიანებას, რაც იმ ფეოდალური წყობის პირობებში არ იყო მარტივი. უბიხებში სიმამაცით გამოირჩეოდა საშეს (სუაჩას) რეგიონი. უბიხები შაფსუღებთან და აბაძეხებთან ერთად ქმნიდნენ სანიმუშო რაზმებს, დაუნდობლად სჯიდნენ მოღალატეებსა და ლაჩრებს. მათი სანიმუშო რაზმები მზად იყვნენ თავდასასხმელად და მტრის მოსაგერიებლად. საბრძოლო ოპერაციების დროს მოწინავენი იყვნენ, უკან დახევისას კი — უკანასკნელნი. სარდალი პასკევიჩი ცდილობდა, პირველ რიგში, მათი გავლენისგან აფხაზეთის მოკვეთას. საბრძოლო ოპერაციები სულ უფრო სასტიკი ხდებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ხორციელდებოდა რუსეთის სახელმწიფოებრივი გეგმა: იგებოდა სანაპირო ხაზი ციხე-სიმაგრეებითა და ფორტიფიკაციული ნაგებობებით ანაპიდან ვიდრე გაგრამდე და შემდგომში უკვე ფოთამდე, შეკვეთილამდე. 1837 წელს ნიკოლოზ I-ის ვიზიტს მოჰყვა ახალი ციხე-სიმაგრეების აგება: Головинское, Навагинское, Святой Дух, რაც დაემატა მანამდე გაშენებულ Новочеркасск-სა და

Новоросийск-ს, აგრეთვე Екатеринодар-ს (ახლ. Краснодар).

ყველაფერ ამას ზედ ერთვოდა 1839-1840 წწ. შიმშილი, რამაც შაფსუღთა და უბიხთა მღელვარების ახალი ტალღა გამოიწვია. აჯანყებულებმა რამდენიმე ადგილას გაწყვიტეს სანაპირო ხაზი, მთავრობის გეგმის გასრულება შეფერხდა 1864 წლამდე, თუმცა აფხაზეთის სანაპიროზე სამხედრო გზა მაინც გაყვანილ იქნა 1834-1835 წლებში.

უბიხებში მე-19 საუკუნეში სახელი გაითქვა ჰაჯი დაგუმოყვა ბარზეგმა. რუსული ისტორიული მწერლობა მას მოიხსენიებს როგორც Дагумоков-ს. დაგუმოყვა საუკეთესო კავკასიური ტრადიციებისა და თვისებების მატარებელი ყოფილა. კავკასიის ომში მან თავი გამოიჩინა, როგორც საომარ მოქმედებათა სულისჩამდგმელმა და ორგანიზატორმა. მას თურმე კარგად იცნობდა ცნობილი ინგლისელი მოგზაური ჯონ ბელი, რომელმაც მე-19 საუკ. 30-იან წლებში ჩერქეზებში სამი წელი გაატარა. იგი დაგუმოყვა ბარზეგს „ჩერქეზების ვაშინგტონს“ უწოდებს.

ბარზეგი საშეს რეგიონიდან იყო (სოფელი მუთგხუასა). ბარზეგს სახელი მთელს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ჰქონდა განთქმული. მისი გაზრდილი იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი ჰამუთ-ბეი (მიხეილ) შარვაშიძე, გიორგი შარვაშიძის მამა. ასეთივე პატრიოტული ჟინითა და თავისუფლების სიყვარულით გაუზრდია ბარზეგს თავისი ვაჟი. ეს 14 წლის ახალგაზრდა 1861 წელს იმყოფებოდა მაიკოპის რეგიონში. მასთან დაუკავშირებიათ პეტრე უსლარი, კავკასიაში მოღვაწე რუსი გენერალი. კავკასია გახდა უსლარის ენათმეცნიერული ინტერესების სფერო. ცნობილია, მისი დამსახურება კავკასიური ენების შესწავლის საქმეში. აფხაზურის შემდეგ ის დაინტერესდა უბიხური ენით. ამჯერად მაიკოპში მისი ინფორმატორი იყო ეს ახალგაზრდა დაგუმოყვა. ჩერქეზი თარჯიმნის საშუალებით უსლარმა რამდენიმე დღის განმავლობაში იმუშავა ამ ყმაწვილთან, მაგრამ მუშაობა შეწყდა ინფორმატორის გაუჩინარების გამო. ყმაწვილი შეერთებია მებრძოლებს და თავი გაუწირავს კიდეც. დაგუმოყვა ბარზეგის მედგარმა ბრძოლამ შეაშფოთა მეფის რუსეთი, რომელსაც ბარზეგის თავი დიდ თანხად შეუფასებია. ასევე გაითქვა სა-

ხელი ჰაჯი კერენდუკმა (სოფ. დაგუმოყო).

რუსეთ-კავკასიის საშინელი ომი ძალას აცლიდა მთიელებს. კავკასიის ომის ბედი გადაწყვეტილი იყო. ამ ვითარებას ვეღარაფერი შეცვლიდა, ვერც 1853-1856 წწ. რუსეთ-ყირიმის ომით გამოწვეული შესვენება და ვერც მოსახლეობის თავდადება დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. რუსულ სამხედრო ძალას ვეღარაფერი მოერეოდა. გრძელდებოდა ბარბაროსული თარეშები. ერთ-ერთმა კაზაკმა ატამანმა ვლასოვმა ორ კვირაში გადაწვა ჩერქეზთა თორმეტიოდე სოფელი ადამიანებით, ცხოველებით, მცენარეებით. დიდი მთავრის — მიხეილის თქმით: „ომის დამთავრების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სრული გაწმენდა და მთიელების გასახლება თურქეთში“. ჩერქეზების განადგურების შემდეგ ჯერი მიდგა უბიხებზე. 1864 წლის მარტის თვეში რუსული ჯარი გენერალ ა. გეიმანის წინამძღოლობით გადავიდა მდინარე ფსეზუაფსეზე და იერიში მიიტანა უბიხთა მიწაზე. ალყაში მოქცეული მთიელები დანებდნენ, 25 მარტს აღებულ იქნა სუაჩა — უბიხთა ქვეყნის ცენტრი.

მოსახლეობას გამოუცხადეს შემდეგი:

ვინც გამოთქვამდა სურვილს, ესარგებლა სულთნის მიპატიჟებით გადასახლებულიყო ოტომანთა იმპერიაში, უნდა შეკრებილიყო ბანაკად სამი დიდი მდინარის: შახეს, ვარდანესა და სუაჩას შესართავებში. გადასახლების მსურველები უნდა შეკრებილიყვნენ დაუყოვნებლივ, რამდენიმე დღეში. ისინი კი, ვინც მოინდომებდნენ რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას კავკასიაში დარჩენის მიზნით, უნდა გადასახლებულიყვნენ ყუბანს იქეთ. ამის მსურველი სამოციოდე ოჯახი აღმოჩნდა. მათთვის უნდა გამოეყოთ სამოსახლოები, მაგრამ შემდგომში ისინი იქიდანაც აყარეს და გადაასახლეს კოსტრომის გუბერნიაში, სადაც მალევე გაითქვიფნენ. დანარჩენებმა ერთსულოვნად გამოთქვეს სურვილი თურქეთში წასვლისა.

ამ ემიგრაციას სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებდნენ როგორც მუჰაჯირობას, რაც ნიშნავდა ემიგრაციას რელიგიური ნიშნით. მუჰაჯ არაბული სიტყვაა და უდრის „დევნილს“. მუჰაჯირობაზე კარგი მონოგრაფია დაწერა ცნობილმა აფხაზმა მეცნიერმა გიორგი ძიძარიამ (სოხუმი, 1982).

1864 წლის 21 მაისს, უკანასკნელი მუჰაჯირის გამგზავრების შემდეგ, პეტერბურგში სამეფო კარს ოფიციალურად მოხსენდა, რომ დამთავრდა ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ომი. გადახდილ იქნა საზეიმო პარაკლისი. ასე დამთავრდა ეს მძიმე მონაკვეთი კავკასიის ხალხების ისტორიაში. რუსული ოფიციალური და სამეცნიერო პრესა პირდაპირ აცხადებდა თავის ინტერესებზე. აკად. ფ. ა. ფადეევი წერდა, რომ **„земля закубанцев нужна была государству, в них самих же не было никакой надобности"**.

მუჰაჯირობას შეეწირა უამრავი ადამიანი. მარტო ჩერქეზი ტომებიდან გასახლდა ნახევარ მილიონზე მეტი, უბიხები საერთოდ გაჭრნენ კავკასიის რუკიდან, აიყარნენ მიწიდან, რომელზეც საუკუნეები ცხოვრობდნენ, სახლობდნენ. ემიგრაციის წინ ხალხი წვავდა სოფლებს, კლავდა საქონელს. ყოველი მხრიდან ისმოდა ტირილი და გოდება. ივნისის პირველ ნახევარში ქვეყანა გავერანებულ უკაცრიელ უდაბნოს ჰგავდა.

თურქეთში გასახლება ისეთივე მძიმე იყო, როგორც თვით ომი. ზღვის ნაპირზე, სამი მდინარის შესართავთან. საშინელი არეულობა სუფევდა. ასეთ მასობრივ გადასახლებაში მთავრობის გამოუცდელობამ, არაორგანიზებულობამ, ეპიდემიებმა, გემების მწყობრიდან გამოსვლამ, სიცივემ, შიმშილმა მოსახლეობა ამოწყვეტის პირას მიიყვანა. ნახევარზე მეტმა ვერც მიაღწია საბოლოო მიზანს. მეცნიერთა ვარაუდით, ომსა და გასახლებას შეეწირა უბიხთა ნახევარი. ჩვენს ხელთაა ამ დრამატული გადასახლების მონაწილის — იბრაჰიმის მონათხრობი, რაც ჩაიწერა უბიხური ენის ცნობილმა სპეციალისტმა, ფრანგმა მეცნიერმა ჟორჟ დიუმეზილმა. დიუმეზილმა ეს ჩაიწერა თევფიქ ესენჩისგან, იბრაჰიმის შვილიშვილისგან. „ჩვენ გადავწყვიტეთ სტამბულს წასვლა. სოფელი (ლაკ°ასა) შეიკრიბა ზღვის სანაპიროზე. სტამბულიდან მოვიდა ორი იალქნიანი გემი. ერთ-ერთ გემზე ავიტანეთ საგზალი, მაგრამ გამგზავრებისას ეს გემი ვეღარ აღმოვაჩინეთ, იძულებული ვიყავით, ჩავმსხდარიყავით სხვა გემში. მგზავრობა ძალიან მძიმე გამოდგა. სამსუნთან მიახლოვებისას გავიგეთ, რომ არ გვიშვებენ. გეზი სტამბულისკენ ავიღეთ, გზაში გემი გაგვიჩერდა. არ გვქონდა სასმელი წყალი, ვსვამდით ზღვის წყალს. ბევრი დაიხოცა.

ბოლოსდაბოლოს, სტამბულიდან მოვიდა გემი, რომელმაც ბუქსირით წაგვიყვანა. ასე ჩავაღწიეთ ქალაქამდის“.

გზაში ბევრი მუჰაჯირი დაიღუპა. არსებობს 1929 წელს ჩერქეზეთში ყოფნისას გაკეთებული ჩანაწერი (ს. ჯანაშია, 1968); ერთ-ერთი მოხუცის მონაყოლია: ზღვა დიდხანს რიყავდა დაღუპულების გვამებს. თავის ქალებში, თმებში ფრინველები ბუდეებს იკეთებდნენ. სხვა ცნობით, თურმე ზღვის ნაპირზე მწოლარე მკვდარ დედას თოთო ბავშვი ძუძუს სწოვდაო. უბიხები დღესაც თევზს არ ჭამენ. გასაგებია, რატომაც: ზღვაში იმდენი მათი წინაპარია დაღუპული.

თურმე გასახლებისას ასეთი რამეც ხდებოდა: მუჰაჯირებით გატენილ გემებს შუა ზღვაში გადააბრუნებდნენ, რათა ჩქარა მობრუნებულიყვნენ გადასახლებულთა მორიგი ჯგუფის გასაყვანად. გასაგები უნდა იყოს, რატომ ხდებოდა ეს: გემის მფლობელი ხომ ფულს იღებდა თითოეული ადამიანის სამშობლოდან მოშორებაში.

უბიხები ძირითადად ანატოლიაში დაასახლეს. აქაც ისინი ჩერქეზებისა და აფხაზების გვერდით ყოფნას ცდილობდნენ. ყველაზე დიდი ორი ჯგუფი დასახლებულ იქნა ანატოლიის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში: ბანდირმას ახლოს, მანიასის რაიონში (ბალიქეზირის ვილაიეთი, სოფლები: ჰაჯი ოსმან ქ˙ოჲ, ჰაჯი ჲაქუფ ქ˙ოჲ, თეფეჯიქ ქ˙ოჲ...) და საფანჯას ტბის ნაპირებთან (იზმითის ვილაიეთი, სოფლები: ქგრქ ფინარი, ჲანგქი, ქურთ ქ˙ოჲ...). უბიხთა პატარა ჯგუფები აღმოჩნდნენ სამსუნთან, ადაფაზართან, დუზჯესთან და ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მარაშის რაიონში. ახალ ადგილებში სოფლებს არქმევდნენ დამაარსებლების სახელებს. მაგალითად: ჲაქუფმა დაარსა ჲაქუფ ქ˙ოჲ, ოსმანმა ოსმან ქ˙ოჲ... იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა იყენებდნენ კავკასიურ ტოპონიმებს, მაგრამ მერე ასეთ დასახლებებსაც ეცვლებოდათ სახელები.

ჯერ კიდევ კავკასიაში ყოფნისას, უბიხებს არ ჰქონიათ ერთიანი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. მათი საზოგადოება ფეოდალურ-პატრიარქალური წყობისა იყო. ტომთა და თემთა მართვაში წამყვანი როლი ეკისრებოდათ აზნაურ-ფეოდალურ საგვარეულოებს.

გაფანტვით ცხოვრებამ და მცირერიცხოვნობამ უბიხები გადაშენების გზაზე დააყენა. მათი ასიმილაციის პროცესი ჩერქეზებში ჯერ

კიდევ კავკასიაში იყო დაწყებული, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა თურქეთში, სადაც ასიმილაცია თურქებშიც დაიწყო. ბუნებრივია, ყველაზე მეტად ეს ახალგაზრდა თაობაში ხდებოდა. ახალგაზრდობა ისწრაფოდა ქალაქებისაკენ სამუშაოს საძებნელად ან განათლების მისაღებად. I მსოფლიო ომში უბიხებიც იყვნენ გაწვეულნი. გასული საუკუნის 30-50-იან წლებში დედაენას მხოლოდ უფროსი თაობა ფლობდა, საშუალო ფენას მხოლოდ ესმოდა, მათ შთამომავლებს — მესამე თაობას კი — უკვე აღარც ესმოდათ, მაგრამ ენადაკარგულებმა ჯერ კიდევ იციან თავისი კავკასიური წარმომავლობა, თავისი წინაპრების ფესვები, იციან მათი კავკასიური სოფლების სახელები: მუთიხურისა, დაგუმოყო, ლაკ°ასი°ა, ჰაშიი, ბუაფა, ლოტ, ლაშუ...

1957 წელს მოხუც ინფორმატორს ჰალილ ურალს ჟ. დიუმეზილისათვის ჩაუწერინებია ასეთი გამონათქვამი უბიხური წარჩინებული გვარების შესახებ:

ზაის°-ებს ისევე ვერ დაამარცხებ, როგორც აბობოქრებულ ზღვას;

ხ°ეწჯ-ებზე უკეთ ვერავინ მოიქცევა;

წგუ-ებს სიტყვას ვერავინ მოუგებს;

სხაფლ'-ების ქალებს ჭკუითა და სილამაზით ვერავინ აჯობებს. კავკასიაში უბიხური ენა ყველაზე კარგად მთიან ზოლში იყო დაცული, ზღვისპირა ნაწილში დიდი იყო ჩერქეზულის გავლენა, სამხრეთით კი აფხაზურის, საძურის.

უბიხურის დიალექტური მონაცემები უცნობია. თითქოს იულ. მესაროშთან ჩანს კვალი დიალექტური ნიუანსებისა, განსხვავებული ფორმებისა. ჟ. დიუმეზილის პუბლიკაციებში განსხვავებანი ნიველირებულია, რადგან ფაქტობრივად ყველა ტექსტი თ. ესენჩთანაა გადამოწმებული. „უბიხი" ჩერქეზული სიტყვაა. მათი თვითსახელწოდებაა თ'ახგ, თ'ახგბზა — უბიხური ენა. ასევე იხმარება შგბზა — „ჩვენი ენა". პ. უსლარით, აფხაზები მათ აფჲოხ-ს (anjox) ეძახდნენ, რაც, რასაკვირველია, თ'ახგ-ს შესატყვისი ფორმაა: ლ. ლიულიეს ცნობით შაფსუღები უბიხებს მგგუ-საც უწოდებდნენ („საწყალი", „ბედის არმქონე"). ჯერ კიდევ ა. გენკომ მიიჩნია უბგხ||უბუხ ფორმა თ'ახგ-ს სახესხვაობად. ქ. ლომთათიძემ დაასაბუთა ეს მოსაზრება:

რაკი ადიღურ (ჩერქეზულ) ენებში არ გვაქვს ლაბიალიზებული კბილისმიერი ხშულები, განსხვავებით აფხაზურ-აბაზურისა და უბიხურისაგან, უბიხურ თ'-ს უნდა შენაცვლებოდა რომელიმე ბაგისმიერი კომპლექსი, მაგალითად, ბუ. ამდენად თ'ახგ → უბგხ || უბუხ. ანალოგიური მოვლენა ჭ-ნ ქ. ლომთათიძეს შემჩნეული აქვს თვით აბაზურშიც, მის აშხარულ დიალექტში: დ'→ბ. რაც შეეხება საძუა ფორმას, ეს აფხაზური მოდგმის ტომის სახელია, გადატანილი უბიხებზე. საძური (ანუ აფხაზური) უბიხებმა (სამხრეთელებმა) კარგად იცოდნენ. აბაზები უბიხებს აუბლაა-ს ეძახდნენ. აუბლაა და აგუხაა აფხ.-აბაზური საგვარეულო სახელებია, რომლებსაც უბიხების მიმართ აფხაზებიც იყენებდნენ (ა. დირი, შ. ინალიფა) მოგზაურები, მეცნიერები უბიხებს ჩვეულებრივ მოიხსენიებდნენ ჩერქეზ ან აბაზა ტომებში. ასეა ევლია ჩელებისთან, ი. გიულდენშტედტთან, პეისონელთან, პალასთან, კლაპროთთან...

1899 პოლონელმა უ. ტომაშეკმა (W.Tomaschek) გამოთქვა მოსაზრება, რომ უბიხი უკავშირდება პროკ. კესარიელთან არსებულ ტერმინს **βρουχοι** (VI ს.) და, პროკოფიზე უფრო ადრინდელი ანონიმი ავტორის „პერიპლში" ნახსენებ მდ. ბრუხონტს. ეს მოსაზრება გაიმეორეს ად. დირმა და ა. გენკომ. როგორც ჩანს, ეს მოსაზრება ვარაუდს არ სცილდება და საჭიროებს კვლევას, მტკიცებას.

უბიხური ენის შესწავლის ისტორია

უბიხური ენის შესწავლის ისტორია იწყება პეტრე უსლარით, რომლის პატარა, 27-გვერდიანი ნარკვევი „О языке убыхов" წარმოადგენს პირველ არასრულ გრამატიკულ მონახაზს. ის დამატების სახით დართულია უსლარის „აფხაზურ ენაზე" (ტფილ., 1887 წ.), მოიცავს 75-102 გვერდებს. მიუხედავად ეპიზოდური მუშაობისა, უსლარმა ჩვეული, ფაქტებში წვდომისა და ანალიზის უნარით, ექვსდღიანი მუშაობის შედეგად სწორად შენიშნა ბევრი რამ. მაგალითად, რომ უბიხურს გრამატიკული წყობით უკავია შუალედური პოზიცია აფხაზურსა და ჩერქეზულს შორის. ამავე დროს, მისი აზრით, აშკარაა,

რომ იგი დამოუკიდებელი ენაა. უსლარს უკვირს, რომ ჩერქეზულის კარგ მცოდნეს — ლ. ლიულიეს მცდარი შეხედულება აქვს უბიხურის ნათესაობაზე დასავლეთ-კავკასიურ ენებთან. სახელებში პ. უსლარმა შენიშნა განსაზღვრულობის **ა** მაწარმოებელი, ბრუნების არსებობა, კუთვნილებითობის კატეგორია, მრავლობითობის **-ნა** სუფიქსი, ზედსართავი სახელის, ნაცვალსახელების, რიცხვითი სახელების გამოხატვის საშუალებანი. ზმნური კატეგორიებიდან უსლარი განიხილავს პირის, რიცხვის... მაწარმოებლებს. მოცემულია „ყოფნა" და „ხედვა" ზმნების პარადიგმები სხვადასხვა დროსა და კილოში. ჩაწერილია 70-მდე ლექსიკური ერთეული. 8 გვერდი ეთმობა ზოგად საკითხებს: უბიხთა განსახლებას, მოგზაურთა და მეცნიერთა გამონათქვამებს. ამასთანავე ავტორი წუხს, რომ ამ გადაშენების გზაზე მდგარ ენას, არ გამოუჩნდა ნამდვილი მკვლევარი. მეცნიერებას არაფერი დარჩებაო, გარდა „**моего хилого шестидневного граммати-ческого очерка**". უსლარის შემდეგ უბიხური ენა კარგა ხნის განმავლობაში არავის შეუსწავლია. ახალ სამშობლოში უბიხები პირველად 1896 წელს მოინახულა დანიელმა ა. ბენედიკტსენმა. მას გაუკეთებია ჩანაწერები, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოუქვეყნებია.

უბიხურისადმი ინტერესი გაცხოველდა XX საუკუნეში. 1913-1914 წწ. უბიხები მოინახულა ადოლფ დირმა. იგი მასალას აგროვებდა ქვრქ ფინარში (საფანჯის ტბის რეგიონი). დირს მუშაობა შეაწყვეტინა 1914 წ. დაწყებულმა ომმა. ად. დირის მიერ არის შექმნილი უბიხური ენის პირველი მონოგრაფიული გრამატიკა, რომელიც 2 ნაწილად დაიბეჭდა 1927-1928 წწ. ჟურნალში **Caucasica** (ლაიფციგი). ნაშრომში ასახულია უბიხების ძირითადი გრამატიკული სისტემა; აქვეა ტექსტები: 4 ზღაპარი თარგმანითურთ, უბიხურ-რუსული ლექსიკონი და გერმანულ-უბიხური ინდექსი. ლექსიკონში უსლარის მასალაცაა შესული.

პროტოხაეთური (resp. ხათური) ენის პრობლემებთან დაკავშირებით უბიხურს იკვლევდა იულიუს ფონ მესაროში. მან 1930 წ. მოინახულა სოფ. ჰაჯი ოსმან ქ'ოჲ (მანიასის რეგიონი). ამ მუშაობის შედეგი იყო დიდტანიანი ნაშრომი: **Die Päkhy-Sprache**, რომელიც გამოქვეყნდა 1934 წ. ჩიკაგოს უნივერსიტეტის შრომების მე-9 ტო-

მად. მესაროშის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მას ფიქსირებული აქვს ინფორმატორებთან მუშაობისას შენიშნული ფონეტიკური ნიუანსები, თუმცა ნაშრომში ერთიანი სისტემა არ არის. გამოკვლევას ერთვის ასამდე ანდაზა და ლექსიკონი. სხვათაშორის, მესაროშის გამოკვლევას გამოეხმაურა გ. დეეტერსი (Orientalische Literaturzeitung, 1936. 4. col. 245-251). აქვეა დართული უბიხური ენის შესახებ არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია.

უბიხურის შესწავლაში, სრულიად განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ჟორჟ დიუმეზილს (1898-1986), ცნობილ ფრანგ მეცნიერს, საფრანგეთის აკადემიის წევრს, შედარებითი მითოლოგიისა და რელიგიის ისტორიის აღიარებულ მსოფლიო დონის მკვლევარს. იგი იყო თვალსაჩინო კავკასიოლოგი, მრავალი გამოცემისა და სერიის დამაარსებელი, არაერთი სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილე. 1925 წლიდან იყო სტამბულის უნივერსიტეტის პროფესორი. დიუმეზილს აქ მიეცა შესაძლებლობა, შეესწავლა და დაკავშირებოდა კავკასიურ ენებს. ამ „მცირე კავკასიაში" მან ხელი მოჰკიდა უბიხურის შესწავლას (1927-1930 წლებში) სოფლებში, სტამბულში. 1931 წ. დაიბეჭდა მისი La Langue des Oubykhs (Paris). დიუმეზილის ინტერესების სფეროში შედიოდა ყველა კავკასიური ენა, მათ შორის ზანურის ლაზური დიალექტი. სვანურის შესწავლის მიზნით მას 1928 წ. უმოგზაურია სვანეთში. ჟ. დიუმეზილმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა ჩრდილოკავკასიური ენების ფოლკლორის, ეთნოგრაფიის კვლევას. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1933 წ. პარიზში გამოცემული „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში". ეს არის ამ სახის პირველი გამოკვლევა. II მსოფლიო ომით შეჩერებული სამუშაოები უბიხური ენის შესახებ ჟ. დიუმეზილმა განაახლა 50-ან წლებში. თავისი, პარიზში მცხოვრები, ჩერქეზი მეგობრის (ასევე მისი ინფორმატორის) აიტეკ ნამიტოყვასა და მისი უბიხი მეუღლის ჰაირიე მელექის დახმარებით ჟ. დიუმეზილმა ისევ აღმოაჩინა უბიხური ენის მცოდნენი. ამ დროიდან იწყება დიუმეზილის აქტიური მოღვაწეობა ამ მიმართულებით. 1955-1971 წლებში იგი ყოველწლიურად, ერთის გამოკლებით, ატარებდა თურქეთში სამეცნიერო ექსპედიციებს. იგი აგროვებდა ყველაფერს. პირ-

ველ რიგში იწერდა ტექსტებს, ეთნოფოლკლორულ მასალებს, ხალხში შემორჩენილ გადმოცემებს, ისტორიულ ამბებს — ყველაფერს, რისი გადარჩენა-შეგროვება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. იგი თვეობით მუშაობდა სოფლებში: ჰაჯი ოსმან ქ'ოდ, ჰაჯი იაქუფ ქ'ოდ, თეფეჯიქ ქ'ოდ და სხვაგან. მისი ინფორმატორები იყვნენ: ჰუსეინ ქოზანი, ილიას ჰოსქანი, ალი ბილაში, მუსა ქაზიმ ოზდემირი, ალემქერი ჰუნჩი, ჰალილ ურალი... სრულიად გამორჩეული იყო თევფიქ ესენჩი (Tevfik Esenç, 1904-1992), ცნობილი „უკანასკნელი უბიხის" სახელით. იგი იყო ჰაჯი ოსმან ქ'ოდდან, მამით ზაისı•ა, დედით — ხ•გნჯ-ი. გარდაცვალებამდე ორიოდე წლით ადრე მან მოინახულა თავისი სამშობლო — ჩერქეზეთი. თ. ესენჩის წინაპრების სოფელი ყოფილა ლაკ•ასı•ა.

შემდგომში ჟ. დიუმეზილი მადლობითა და გულის ტკივილით იხსენებდა „უბიხთა აკადემიას" ანუ იმ მოხუცებს, რომლებმაც ამდენ რამეს აზიარეს. ფრანგი მეცნიერი წერს, რომ თუ რომელიმე ფონდი გახსნის სკოლას უბიხი ახალგაზრდებისათვის, მე სრულიად უსასყიდლოდ ვამეცადინებო. მეცნიერის თხუთმეტწლიან დაუღალავ მუშაობას მოჰყვა უამრავი ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები: Etudes Oubykhs (1959), Le Verbe Oubykh (თ. ესენჩთან ერთად, 1975 წ)... სტატიები იბეჭდებოდა წამყვან სამეცნიერო ორგანოებში: JA, BSL, Anthropos, Bk St. Caucasica და მრავალი სხვა. განსაკუთრებით ღირებულია ჟ. დიუმეზილის მიერ დაარსებული ხუთტომეული: Documents Anatoliens sur les Langues et Traditions du Caucase (1960-1967 წწ.). ამათგან პირველი სამი ეთმობა უბიხურს, ორი კი — ლაზურსა და აფხაზურ-ჩერქეზულს.

1957 წელს ჟ. დიუმეზილმა უბიხური ენის კვლევის საქმეში ჩართო ცნობილი ენათმეცნიერი ჰანს ფოგტი, ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი. გარდა ზოგადი ენათმეცნიერებისა და არმენოლოგიისა, იგი გასული საუკუნის 30-იან წლებში ქართულით დაინტერესდა, რის გამოც საქართველოში ჩამოვიდა ქართულის შესასწავლად. ბატონ ვარლამ თოფურიას წყალობითა და დახმარებით მან შესანიშნავად გაითავისა ჩვენი ენა. მას არაერთი გამოკვლევა აქვს ქართველოლოგიის დარგში. ბევრი მათგანი ითარგმნა და დაიბეჭდა. უბიხურს

ჰ. ფოგტი ადგილზეც აკვირდებოდა და სწავლობდა. ჟ. დიუმეზილი და ჰანს ფოგტიც თანამშრომლობდნენ თ. ესენჩთან ხან თურქეთში და ხან პარიზსა ან ოსლოში. შედეგად მივიღეთ ჰ. ფოგტის უბიხურ-ფრანგული ლექსიკონი, ფონოლოგიური გამოკვლევითა და ფრანგულენოვანი ინდექსით. ლექსიკონში გათვალისწინებულია წინამავალ ავტორთა ნაშრომები და მოსაზრებანი. ეს ნაშრომი ეძღვნება „მასწავლებლებსა და მეგობრებს ჟორჟ დიუმეზილსა და თევფიქ ესენჩს“ (1936 წ., ოსლო, Dictionnaire de la Langue Oubykh).

ჟ. დიუმეზილისავე დამსახურებაა უბიხურის კვლევის საქმეში საფრანგეთში მოღვაწე გიორგი შარაშიძის ჩართვა. ბ-ნი გიორგი ქართველი ემიგრანტის ოჯახიდან იყო. იგი იკვლევდა ეთნოკულტურებს. მას ძალიან საინტერესო ნაშრომი აქვს საქართველოს მთიანეთის პაგანიზმისადმი მიძღვნილი. გიორგი შარაშიძემ დაწერა „უბიხური ენის გრამატიკა“ (Delmar, New-York, 1989, გამომც. ჯ. ჰუიტი). სამწუხაროდ, ჟ. დიუმეზილისა და გ. შარაშიძის პროექტი — შექმნილიყო უბიხური ენის ახალი ლექსიკონი გამოკვლევითურთ განუხორციელებელი დარჩა. 2011 წლის იკე-ს XXXIX ტომში დაიბეჭდა ბერნარ უტიეს წერილი, მიძღვნილი გიორგი შარაშიძის ხსოვნისადმი „არ არსებობენ პატარა კულტურები“.

ჟ. დიუმეზილის მემკვიდრეობის შეფასება შეუძლებელია. იგი არ ერიდებოდა წინა გამოცემებში დაშვებული შეცდომებისა თუ უზუსტობების აღიარებასა და ჩასწორებას. ასეთივე მდგომარეობა ჰქონდა მას სხვების ნაშრომების მიმართაც. მაგალითად, მან ად. დირის მიერ ჩაწერილი 4 ზღაპარი შესწორებებითა და დამატებებით მეორედ დაბეჭდა. ასევე იულ. მესაროშის მიერ გამოქვეყნებული 100 ანდაზა ხელახლა დაბეჭდა (1959, 1960).

უნდა ითქვას, რომ ჟ. დიუმეზილი საოცარ ჰუმანურობას ამჟღავნებდა კავკასიელების მიმართ მათი ისტორიის შესწავლით. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა როგორც სტამბულში, ისე პარიზში მცხოვრებ კავკასიელებთან: ინგუშებთან (კიურიევი, ალბოგაჩი), ჩეჩნებთან (ჩულიკი, ბადუევი), ხუნძებთან (მეხტულინსკი ბეი, ახმეტ ხან ავარსკი). ასევე ძალიან თბილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ლაზების მიმართ; მისი ლაზი ინფორმატორები იყვნენ: ნიაზი ბანი, მუჰსინ

ეროლი, ოსმან შენალი, ირფან ერთემი, ტაჰსინ ჩები, მეჰმედ ტურნაფორი. 1966-1967 წლებში დიუმეზილმა მუჰსინ ეროლი ასისტენტად წაიყვანა პარიზში ახალგაზრდა ლაზისთვის უსახსრობის შესამსუბუქებლად. ყველაფერი ეს კარგადაა ასახული მანანა ბუკიას მიერ 2009 წ. გამოცემულ ჟ. დიუმეზილის მიერ შეკრებილ „ლაზურ ზღაპრებსა და გამოცემებში“.

1974 წელს კატრინ პარიმ და მ. ლეროიმ ჩაატარეს უბიხური ფონემების სპექტროგრაფიული ანალიზი, ა. და უ. ლანდმანებმა 1981 წ. ანთროპოლოგიურად გამოიკვლიეს ორი გაჩერქეზებული უბიხური სოფლის (მარაშის ვილაიეთი) მცხოვრებლები. 1982 წ. ჟურნალ Lingua-ში დაიბეჭდა ჯორჯ ბოსონგის (George Bossong) სტატია უბიხური ზმნის შესახებ.

უბიხურისა და უბიხების შესახებ საინტერესო ფაქტებია ფიქსირებული როგრც მე-19, ისე მე-20 საუკუნეების რუს მკვლევართა ნაშრომებში:

ნ. რაევსკი (Н. Раевский, АКАК, ტ. VIII). საინტერესოა მისი გამონათქვამი: „ჩვენი ქმედებანი კავკასიაში გვახსენებს ყველა იმ უბედურებას, რაც თანამდევი იყო ესპანელების მიერ ამერიკის თავდაპირველი დაპყრობისას“ (გვ. 41).

ლ. ლულიე (Л. Люлье, Русско-черкезский словарь, 1846).

ა. იუროვი (А. Юров, Кавказ. сборник, 1882)

იუროვი წერდა: „სამეფო ჯარები ქარიშხალივით დაქროდნენ მთიანეთის მიწებზე, ტოვებდნენ სისხლიან კვალსა და ნანგრევების ხროვებს“.

ლ. ლოპატინსკი (Л. Лопатинский, СМОМПК, XII, II, 1891);

კ. განი (К. Ган, СМОМПК, XL, 1909);

ად. დირი (Ад. Дирр, СМОМПК, XV, III. СМОМПК, XLIV, 1915);

ა. ფადეევი (А. Фадеев,1960);

ლ. ლავროვი (Л. Лавров, УЗАНИН, Этн. VIII, 1968) და სხვები.

უბიხების შესახებ ცნობები დაცულია ენციკლოპედიებში:

ფ. ბროკჰაუზისა და ი. ეფრონის (XXXIV, 67, 1902)

საბჭოთა ისტორიული ენციკლოპედია (XIV, 1973)

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (X, 1986)

რუს მკვლევართაგან გამოსაყოფია ა. გენკოს „О языке убыхов“ (ლენინგრადი: 1927).

М. Кумахов, Убыхский язык (Языки народов СССР, ИКЯ, IV, Москва). ბ-ნი მუხადინ კუმახოვი, ცნობილი უაბარდოელი მკვლევარი-კავკასიოლოგი, წლების განმავლობაში იკვლევდა ამ, დღეისთვის გამქრალ ენას. მას მოსმენილი აქვს თევფიქ ესენჩის ხმოვანი ჩანაწერი.

ჩვენი სახელმძღვანელო მთლიანად ეყრდნობა ჟ. დიუმეზილის, ჰ. ფოგტის, გ. შარაშიძის, მ. კუმახოვის ნაშრომებს. ბუნებრივია, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლიდით ცნობილ ქართველ კავკასიოლოგებსაც.

ფონეტიკა, ფონოლოგიური სისტემა

უბიხური ენა ეკუთვნის აფხაზურ-ადიღურ (ჩერქეზულ) ენათა ჯგუფს. ბევრი მკვლევარი ამ ჯგუფს მოიხსენიებს ჩრდილო-დასავლურად საპირისპიროდ ჩრდილო-ცენტრალური და ჩრდილო-აღმოსავლური ჯგუფებისა. სამივე ეს ჯგუფი ქართველურ ენებთან ერთად ქმნის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს.

უბიხურის ფონოლოგიური სისტემა წარმოადგენს შუალედურ რგოლს აფხაზურ-აბაზურსა და ჩერქეზულ ენებს შორის. ამ უმწერლობო ენაში დაცულია არქაული ვითარება. ამასთანავე მისთვის დამახასიათებელია მეორეული მოვლენებიც, მაგალითად, ფარინგალიზაცია. ფარინგალიზებული თანხმოვნებით უბიხური კონსონანტიზმი ერთდროულად უპირისპირდება ამ ჯგუფის დანარჩენ წევრებს. ამავე დროს აფხაზურთან ერთად იგი განარჩევს დენტალურ ლაბიალიზებულ ხშულებსა და სისინ-შიშინა აფრიკატებს ჩერქეზული ენების საპირისპიროდ; სამაგიეროდ, უბიხურს, ისევე როგორც ჩერქეზულ ენებს, აფხაზურისაგან განსხვავებით, აქვს ლატერალი თანხმოვნები.

უბიხურის მარტივი ვოკალიზმი გამოირჩევა საოცრად რთული კონსონანტიზმის ფონზე. უბიხურის ხმოვანთა სისტემას ეხებოდნენ ად. დირი, იულ. მესაროში, ჟ. დიუმეზილი. ჟ. დიუმეზილი თავის პირველ ნაშრომში ემყარებოდა წინამავალ ავტორებს. 1957 წლიდან ჟ. დიუმეზილმა სულ სხვა სისტემა შეიმუშავა. თავისი ძველი ნააზრევი მან საფუძვლიანად გადაამუშავა, გაემიჯნა რა წინამავალ ავტო-

რებს. უბიხური ვოკალიზმი მან ორ ხმოვნამდე დაიყვანა: ა/ა და გ. შემდგომში იგი უკვე სამ ხმოვანს გამოყოფს (1975). ჰ. ფოგტის აზრით, ორ ძირითად ხმოვანს, ა-სა და გ-ს მესამეც უნდა დაემატოს, რომელიც ალბათ მეორეულია, მაგრამ დღეს მისი არსებობა ფაქტია. ო. მ. კუმახოვი ორ ხმოვანს გამოყოფს. გ. შარაშიძე ამბობს, რომ ფონემური თვალსაზრისით უბიხურში ერთი ხმოვანია სამი ფონეტიკური ვარიანტით, ერთმანეთისგან ღიაობით განსხვავებული: მაქსიმალური [ყ], საშუალო [ა] და მინიმალური [გ]. მისი აზრით, ბევრად უფრო მოხერხებულია და ხელს არაფერს უშლის სამი ფონემის დაშვება. ჩვენი აზრით, ეს ყველაზე სრულყოფილი ვარიანტია. ნ. ტრუბეცკოი ისეთი ენების რიცხვში, რომლებშიც ტემბრული თვისებები ფონოლოგიური ღირებულების არ არის, ასახელებს ადიღეურს. ასე უნდა იყოს უბიხურშიც. ამ ენის ხმოვნებს ახასიათებენ მხოლოდ ღიაობის ხარისხის მიხედვით. აქ წარმოდგენილია ხაზოვანი სისტემა სხვა ენების სამკუთხა ან ოთხკუთხა სისტემებისგან განსხვავებით. თუმცა ჟ. დიუმეზილი აღნიშნავს, რომ თანამედროვე უბიხურში ჯ ხმოვნის ძირითადი მახასიათებელია ტემბრის სიმყარე და არა სიგრძე. გარდა ძირითადი ხმოვნებისა, უბიხურში გვაქვს პოზიციურად მიღებული ხმოვნები. თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს, რომ ხმოვნების არტიკულაციაზე დიდ გავლენას ახდენს თანხმოვანთა აკუსტიკურ-არტიკულაციური თვისებები. ჰ. ფოგტის აზრით, ამიტომაცაა ხმოვნებში კომბინატორული ვარიანტები და უსაზღვრო ვარიაციულობა.

საერთოდ, ცნობილია, რომ ასეთ მოვლენას განსაკუთრებული გასაქანი ეძლევა უმწერლობო ენებში, რომ რყევას ინდივიდუალურ მეტყველებაშიც კი დიდი ადგილი უჭირავს.

ხმოვნები

ა ხმოვანი ღია ხმოვანია, გვხვდება ყველა პოზიციაში. მეზობელი თანხმოვნებიდან მეტი ძალა აქვს წინამავალს. ამიტომაცაა რომ ა თითქმის არ განიცდის ცვლილებას. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას

მყარ ჯ-ს (ჟ. დიუმეზილი). თავკიდურად იგი თითქმის ყოველთვის მორფოლოგიური ელემენტია: განსაზღვრულობის არტიკლი, ნაცვალსახელოვანი პრეფიქსი. გვაქვს ძირისეულიც.

ა-თგთ — კაცი, ა-ჩგ — ცხენი — განსაზ.-ის გამოხატვა.

ა — მე-3 პირის ნიშანია: აკ᷄ან — მიდის.

ძირეული ა: აბა — ავადმყოფი, აგ᷄ა — ცუდი, აშა — პერანგი.

ა ხმოვანს შეუძლია სხვადასხვა გახმოვანება შეიძინოს: საშუალო ა-დან დაწყებული, შუაენისმიერი და უკანაენისმიერი ა-ს გავლით ღია ა-მდე. ანლაუტში ა არ განიცდის თანხმოვნის გავლენას. შიშინა პალატალური სპირანტებისა და ველარული ლაბიალიზებული სპირანტების წინ ვითარდება ო და უ : აჟ → აშუ — შლამი; აღ᷄ა → აუღ᷄ა — სიღრმე, ხვრელი. პალატალური თანხმოვნების წინ ა რბილდება, ველარულების წინ კი — მაგრდება.

შუა პოზიციაში ა ორმაგ გავლენას განიცდის, ყველაზე მეტს — პალატალური, ლაბიალიზებული და ველარული თანხმოვნებისგან. ჰ. ფოგტის გამოკვლევით იგი გამოითქმის როგორც საშუალო ა, ფინალურ პოზიციაში კი — როგორც პალატალური ა; როგორც უკანა რიგის ა, იგი გამოითქმის მხოლოდ ველარული თანხმოვნების შემდეგ. თავკიდურა და ბოლოკიდურა ა-სგან განსხვავებით, შუა პოზიციაში ა შეიძლება მომრგვალდეს კიდეც პალატალიზებული და ლაბიალიზებული ველარების მეზობლობაში: ქ᷄აბჟა → ქ᷄ობჟა — კაცი, ქმარი. დიუმეზილისგან განსხვავებით, ფოგტის დაკვირვებით სიმოკლე და პალატალობა ხშირად ეთანხმება.

მყარი ჯ ყველას მეორეულ ფონემად მიაჩნია:

შაგ᷄ა — სულელი ← შაა — თავი + აგ᷄ა — ცუდი

ღაბღ᷄ა — მისი ბუდე ↔ ღა — მისი + აბღ᷄ა — ბუდე, შდრ.

ღაბღ᷄ა — მისი უმაღლესი ნაწილი ← ღა — მისი + ბღ᷄ა — უმაღლესი.

ამრიგად, მყარი ჯ მიღებულია ა+ა-ს კონტრაქციით, თუმცა ჰ. ფოგტის დაკვირვებით არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჯ-ს პოზიციური წარმომავლობა არ ჩანს:

ზალ᷄ა — ხიდი, ბჯდა — ყველა, ნწჯღა — თეფში.

ჯ ნაკლებად განიცდის გარემომცველი თანხმოვნების გავლენას.

სიტყვის თავში ა გვხვდება მხოლოდ ჲ-ს წინ → ეჲ.

ჯ-სა და ა-ს ოპოზიცია არის ზმნურ ფორმებში:

ჲაჭგნ — ჰამენ, ჲაჭგნ — ჰამს.

აკ᷄ჯან — მიდიან, აკ᷄ან — მიდის

აზბგჯან — ვხედავ მათ, აზბგჲან — ვხედავ მას.

ხმოვანი გ დახურულია. არ გვხვდება თავკიდურად, გარდა ერთი შემთხვევისა: როცა იგი გამქრალი პირის ნიშნის ადგილასაა:

გნყაყა ← ჲგნყაყა — თქვა

გ-ს აქვს ყველა დახურული ხმოვნის ელფერი; ლაბიალიზებული, პალატალური და ველარული თანხმოვნების მომდევნოდ გ-ს აქვს უ-ს გახმოვანება: აქ᷄გნ → აქ᷄უნ → აქუნ — წვიმს (შდრ. აფხ.)

ჴ᷄გნგ → ჴ᷄უნგ → ჴუნგ — ვირთხა.

გ პალატალიზებული თანხმოვნების შემდეგ გადადის ე-სა და ი-ში:

ხ᷄გ → ხ᷄ე — თავადი, ღაჩგ — ღაჩი — მისი ცხენი

შიშინა ლაბიალიზებული სპირანტების მეზობლობაში ისმის უ:

აჟ᷄გ → აჟ᷄უ — მოხუცი. ასევე ზემოქმედებენ ს,ზ სპირანტები, ნ,ლ სონორები, ლ᷄ ლატერალი.

გავლენას ახდენენ ჲ და უ სონანტები. მათი კომბინაციები ძირითადად ხმოვნებთან დიფთონგებს წარმოშობს და ვიღებთ პოზიციურად მიღებულ ხმოვნებს:

ჲა → ჲა̈, დახურულ მარცვალში → ე.

ჲგ → ჲი → ი

უა → უა̈ / უო; უგ → უუ / უ

ნასესხებ სიტყვებში ო გადმოდის უო-დ:

ოდა → უოდა; გჲ → იჲ / ი; გუ → უუ / უ;

ყველაზე მეტი ნაირფეროვნებაა აჲ და აუ ჯგუფებთან დაკავშირებით, თავსა და ბოლოში აჲ დიფთონგია. რაც შეეხება აუ-ს, არის შემთხვევები მისი მონოფთონგიზაციისა, თუმც ჰ. ფოგტს მოჰყავს მაგალითი, როცა ო: და აუ ოპოზიციას ქმნის.

ა და გ ფონემები დაპირისპირებული არიან მახვილიან პოზიცი-

ასა და ღია აუსლაუტში. ოპოზიცია ისპობა მაშინ, როცა ა უპირისპირდება ნულს ან უმახვილო გ-ს.

თანხმოვნები

უბიხურის კონსონანტიზმი საოცრად მდიდარია. გვაქვს პალატალური, პალატალიზებული, ლაბიალური, ლაბიალიზებული, ფარინგალური, ფარინგალიზებული თანხმოვნები... თანხმოვანთა რიცხვი 80-ს აღწევს. ვასხვავებთ როგორც პალატალურებსა და პალატალიზებულებს, ისე — ფარინგალებსა და ფარინგალიზებულებს. ეს უკანასკნელები, ნაწილი მაინც, როგორც ჩანს პოზიციური ვარიანტებია მარტივი რიგებისა. ჰ. ფოგტის დაკვირვებით ერთი მხრივ, ფარინგალიზებულ ლაბიალურ თანხმოვნებსა და მარტივ ლაბიალებს შორის, და მეორე მხრივ ლაბიალიზებულ ფარინგალებსა და ველარებს შორის საერთოა ის, რომ მათ შორის ოპოზიცია ელიმინირებულია მარტივი ლაბიალებისა და ველარების სასარგებლოდ. ასეთ რყევას ადგილი აქვს ენაში. ხშირად ფარინგალიზაცია მეორეულია, ყოველთვის არ დგინდება ოპოზიცია, მაგალითად, ჰ. ფოგტი აკავშირებს და სრულიად სამართლიანად: ყაპა — ხელი და ყაპა — მუჭა (ფარინგალიზაცია აღინიშნება — ნიშნით); ღაბგ — მაგარი და ღაბა — ძალა. ზოგჯერ ფარინგალიზაცია ნასესხებ მასალაშიც გვხვდება. ზოგჯერ მაინც ფარინგალიზებულებით ლაბიალური ხშულების შეცვლა დერივაციის როლს ასრულებს. საინტერესოა ისიც, რომ უმეტეს შემთხვევაში ფარინგალური ელფერი მთელ სიტყვაზე ვრცელდება, რასაც ადგილი არა აქვს მ და ვ ფარინგალიზებულ თანხმოვნებთან დაკავშირებით. ფარინგალიზაცია ამ თვალსაზრისით (მთელ სიტყვაში წარმოჩენით) განსხვავდება ლაბიალიზაციისა და პალატალიზაციისაგან. ამდენად, ეს სულ სხვა რიგის თანხმოვნებია.

სპირანტები და ხშულები (აფრიკატებთან ერთად) წარმოდგენილია არტიკულაციის თითქმის ყველა ზონაში. როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, უბიხურშიც სპირანტები ქმნიან წყვილებს, ხშულები — სამეულებს. ზოგიერთი რიგი ნაკლულია (შდრ. აფხ. და ჭართ.).

საწარმოთქმო ადგილებში დაპირისპირებულნი არიან: მარტივნი ~ ლაბიალიზებულნი, მარტივნი ~ ფარინგალიზებულნი, მარტივნი ~ პალატალიზებულნი ~ ფარინგალიზებულნი და ა. შ. უბიხურში არ გვაქვს უკანა რიგის გ ქ კ. ამ ფონემებს პალატალიზაცია განუცდიათ: გ̌ ქ̌ კ̌. პალატალიზებულებს უპირისპირდება ლაბიალიზებულები: გ̊ ქ̊ კ̊.

უბიხურში ჟღერადობა თანხმოვნის არტიკულაციას ბოლომდე გასდევს. სიტყვის ბოლოს არ ხდება დაყრუება (შდრ. ქართული).

უკანა რიგის თანხმოვნების (გ̊ ქ̊...) ლაბიალიზაციას ჰ. ფოგტი ლაბიოველარიზაციას უწოდებს. ზოგ ენაში ასეთ ლაბიალიზაციას უმარცვლო უ-თი აღნიშნავენო. ლაბიალიზაციის მომენტი თანხმოვანს არტიკულაციის მთელ მანძილზე მიჰყვება. ეს განსაკუთრებით ეხება ლაბიალიზებულ სპირანტებს. მათ მომდევნოდ გ ჩვეულებრივ უ-ში გადადის. მომდევნო ხმოვნებზე მათი გავლენა დიდია. სხვაგვარია სისინა აფრიკატების შემთხვევაში. ამ დროს არ ხდება ლაბიალური მომენტის წინ გასწრება. ამიტომაც ასეთი თანხმოვანი ხმოვანზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს: ც̊ა და ცა მარცვლები ხმოვანთა ტემბრით არ განსხვავდებიან. დ̊თ̊ტ̊ ფონემების ლაბიალიზაცია განსხვავებულია. ისინი გავლენას ახდენენ როგორც წინამავალ, ისე მომდევნო ხმოვნებზე: სგთ̊ — ჩემი მამა → სუთ̊; ად̊გ → ად̊უ — მინდორი. უბიხურ ზმნაში არის თ̊/თ მონაცვლეობა („ყოფნა“ ზმნა). დ̊-ს შეიძლება შეენაცვლოს ბ ან ბ. ასეთი რამ (დ̊/ბ), როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქ. ლომთათიძეს შენიშნული აქვს აბაზურის აშხარულ დიალექტში.

ლაბიალიზებული დ̊თ̊ტ̊ გვაქვს მხოლოდ უბიხურსა და აფხაზურში. ისევე როგორც აფხაზურში, უბიხურშიც ეს რიგი მეორეული ჩანს, მიღებული კომპლექსებისაგან. ზოგიერთი სიტყვა ნასესხები უნდა იყოს. უბიხურში დ̊თ̊ტ̊-ს ზოგჯერ ენაცვლება ბ ფ პ ან ბ ფ პ : კ̌ად̊გ / კ̌აბგ — მგელი, ყანც̌ად̊ / ყანც̌აბ —ცერი.

ჟ̊ შ̊ სპირანტების ლაბიალიზაციის მომენტი გადადის წინამავალ ხმოვანზე: ბაჟ̊ → ბაუჟ̊ — ბებერი. ამ თანხმოვნების წინ ან მომდევნოდ გ → უ : ცანგშ̊ → ცანუშ̊ — ხმალი.

ჟ̊-სა და შ̊-ს გამოთქმა შეიძლება მიუახლოვდეს უ-სა და ჳ-ს.

ჟ'გზ'/უგზ' — დიდი. ჯერ კიდევ პ. უსლარი აღნიშნავდა, რომ აფხაზურში სიტყვაში ჟ'გ — ათი ისმის მხოლოდ ლაბიალიზაციის მომენტიო. უბიხური ზღაპრები ჩვეულებრივ იწყება სიტყვით ჭაბ'ა — ოდესღაც. ჟ. დიუმეზილი ამ სიტყვის ამოსავალ ფორმად მიიჩნევს შ'ა-ბ'ა-ს, რომელშიც შ'ა ნიშნავს „წელს", ბ'ა კი — დერივაციული აფიქსია.

კომპლექსებიდან მომდინარედ მიაჩნიათ უკანაენისმიერი ლაბიალიზებული ხშულები.

პალატალიზებული თანხმოვნებიდან: გ´ ქ´ კ´ უბიხურშიც, ისევე როგორც აფხაზურშიც, პოზიციურად მიღებული ჩანს. პალატალიზებული თანხმოვნები გავლენას ახდენენ მომდევნო ხმოვნებზე. წინამავალ ხმოვნებზე გადადის პალატალიზებული ჟ-სა და შ-ს ხასიათი: აჟ → აჽ.

ხშული თანხმოვნები

წყვილბაგისმიერნი (ბილაბიალურნი): ბ ფ პ, ყველაზე იშვიათად გვხვდება პ. ბგდა — ყურება, ბზა — ენა, ბანა —ბალახი. ფა'ღა — ამაყი, ფჰგ — ძვალი. პწა — სახელი. ფ და ბ ხშირად ქმნიან კომპლექსებს, პ — ნაკლებად.

ფარინგალიზებულნი: ბპფ. ბ-სთან შედარებით ფ და პ იშვიათია, ანლაუტში არ გვხვდებიან, ბ — ხშირადაა. ბ'გბ — გოგრა, ღაბა — ძალაა, ბღა — გამხდარი, სI'გბგ — თოვლის გროვა, ცაბა — ობოლი. ცაჰაფგ — შემწვარი სიმინდი, ძაფაშ! — დალოცვის ფორმულა;

პ სულ ოთხ სიტყვაშია: ტაპ — გახეთქვა, ყაპგ — ტოტი, ყაპა — მუჭა, პაპგშ' — მამაკაცის საკუთარი სახელი.

კბილისმიერნი (დენტალურნი): დ თ ტ შედარებით ხშირია, ნაკლებად არიან ბგერათკომპლექსებში, გარდა თ-სი. დგმა — ქათამი, თხ'ა —ნაცარი, ტაშ' — უმცროსი, ტყ'ა — ორი.

ლაბიალიზებულნი დ'თ'ტ' ბევრი არ არის, ყველაზე მეტია თ'. ეს ბგერები არის მხოლოდ უბიხურსა და აფხაზურში.

დ'გდ'ა — რბილი, დ'ა — ნემსი, თ'გ — მამა, თ'გ — მიცემა, თ'ათ'ა — ფულის ერთეული, ტ'ა — სახელური, ტ'ას — დაჯდომა.

წინანუნისმიერები (ალვეოლარები) **სისინა** აფრიკატები: ძ ც წ ბევრი არ არის. ძღა — შეკითხვა, აძგნ — წვიმს, ცანგ — ხმალი, წ̌ღა — თეფში, პწა — ტყუილი.

სისინ-შიშინა აფრიკატები ძ̌ც̌წ̌ აქვთ მხოლოდ უბიხურსა და აფხაზურის ბზიფურ დიალექტს. ძალიან გავრცელებული არ არის, დაახლოებით იმავე რაოდენობითაა, როგორც ძ ც წ.

ძ̌ას̌ა — ცურვა, წ̌ქს̌ქ — პატარა, ც̌ქცა — ხალხი.

ლაბიალიზებული სისინ-შიშინა აფრიკატები ბუნებრივია აქვთ უბიხურსა და ბზიფურ დიალექტს. ფოგტის მიხედვით ისინი სისინა აფრიკატებია, ჟ. დიუმეზილით კი — სისინ-შიშინა, რასაც აფხაზურიც უპერს მხარს. ყველაზე ხშირია ც̌ᵘ, ცოტაა ძ̌ᵘ და წ̌ᵘ. ძ̌ᵘა — დალევა, ძ̌ᵘაძ̌ᵘა — ქორწილი. ც̌ᵘა — კარი, ც̌ᵘგ — ხარი, ც̌ᵘგაა — სახლი, წ̌ᵘაცა — ნაღველი, წ̌ᵘანთა — მწვანე.

უკანანუნისმიერები, შიშინა პალატალური აფრიკატები: ჯ ჩ ჭ, საკმაოდ ბევრია, განსაკუთრებით დიდი მასალაა ჩ ბგერაზე:

ჩა — რძე, ჩგ — ცხენი, ჩგდა — სიცივე, ჩგქ̌ — ზურგი.

ჯგლ̌ა — ძმა, ჯაფხ̌ა — და, მგჯა — ცეცხლი. ჭა — პირი, ჭახ̌ა — დღეს.

შიშინა მაგარი აფრიკატები: ჯ̌ ჩ̌ ჭ̌. განსაკუთრებით ცოტაა ჯ̌. ანლაუტში სულ 2 სიტყვაშია: ჯ̌არღა — რაღაც მთის სახელია, ჯ̌ — პირღებინება, ნჯ̌ა — ბაყაყი. ასევე ცოტაა ჩ̌: ჩ̌გდგ — სახედარი. ჭაჭქ̌ — შუბლი, ჭა — კარგი.

უკანაენისმიერი (ველარული) ხშულები გ ქ კ უბიხურს არ გააჩნია. გვაქვს კ ერთადერთ სიტყვაში: შგკლ̌აუა — საქანელა.

გვაქვს **პალატალიზებული** გ̌ქ̌კ̌. უბიხურში ყველა გ ქ კ-ს განუცდია პალატალიზაცია. გ ქ კ შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში. ეს რიგი მეცნიერებს არ შეაქვთ ფონემურ ინვენტარში, მხოლოდ გ. შარაშიძეს აქვს შეტანილი კ შგკლ̌აუა-ს გამო.

ცოტაა ქ̌, სულ რამდენიმე სიტყვაშია. ყველაზე ბევრია გ̌: გ̌გძა — დიდი, გ̌გბა — ნდობა, გ̌ჯღა — იმედი, ხშირად იხმარება გ̌ა, გ̌გ მორფემები. გ̌გ — გული (საერთო კავკასიური ძირი).

ქ̌გც̌გ — ეკალი, ქ̌ა — თანდებული; კ̌ჯმა — ურო, კ̌აზგ — მგელი, კ̌ა — სვლა.

ლაბიალიზებული ველარები ცოტაა, განსაკუთრებით ქ˚. გ˚აუა — სიბრაზე, გ˚გ — პატარა, ქ˚აბჟა — ქმარი, კაცი, ქ˚გ — ურემი; კ˚ანგ — ხვალ, კ˚აბა — დაბანვა, კ˚აჩა — კუდი. უბიხურში ხდება გ˚ქ˚კ˚-ს პალატალიზაცია: გ˚გ — გული (შდრ. აფხ. აგ˚გ).

ფარინგალური (უვულარული) ხშულები. ეს რიგი ნაკლულია. არ არის მჟღერი წევრი: — ჰ ყ. ბევრია ყ-ს შემცველი მასალა, არ არის ბევრი ჰ. ჰა — საფლავი, ჰაბზა — ძუ, ძაღლი. ყა —სიტყვა, თქმა (შდრ. ქართულს), ყაყგ — ტკბილი, ყაპა — ხელი.

ლაბიალიზებული ფარინგალები: ჰ˚ყ˚. ყ˚ მეტია: ყ˚ა — აღება, დაჭერა, ყ˚გლა — სულელი, ყ˚ადა — რუ, ჰ˚ა — ვაჟი, ჰ˚ა — ველი.

პალატალიზებული ფარინგალები: ჯ, ყ˙. ჯ მხოლოდ უბიხურშია, აფხაზურში მარტო ყ˙ გვაქვს, ადიღურ ენებში კი საერთოდ არ არის პალატალიზებული ვარიანტები. არც უბიხურშია ბევრი ეს ბგერები, განსაკუთრებით ცოტაა ყ˙. იგი ორ ზმნურ ძირშია: ყ˙ — შეკვრა, ყ˙გწ˚ — გაჭუჭყიანება; ჯ˙ა — ხველება, ჯ˙ა — ნაწილაკი, ჯ˙ა — რქა.

ფარინგალიზებულები: ჰყ ძალიან ცოტაა, ბაჰყა — მტერი, ჰყა — გაქცევა, ჰაზა — ყველიანი ნამცხვარი; ყაპა — მუჭა, ბგყგრდა — გორება.

ფარინგალიზებული ლაბიალიზებული წყვილი ჰ˚ყ˚ განსაკუთრებით ცოტაა: ჰ˚ — ყეფა, ჰ˚აფხგ — ძუძუმტე, ყ˚ — მოღუნვა, ყ˚გ — თმა, ყ˚ა — გადახურული შესასვლელი.

ლატერალური აბრუპტივი ლ˚ ძალიან ცოტაა. ლ˚ჯ˚ა — გვარი, ლ˚გჰა — მომსახურე, ლ˚ — ზმნური სუფიქსი, ლ˚ალა — სიმამაცე.

სპირანტები

სპირანტები ქმნიან წყვილეულებს.

ბაგეკბილისმიერებში გვაკლია მჟღერი წევრი. ბევრია ф : ф — ჭამა, ფაჭგ — ყველი, ფჯხ˚ჯ — ოდესღაც, წინათ, ფაჩა — დაცემა, ფგ — ექვსი.

ფარინგალიზებული ჳ სულ რამდენიმე სიტყვაშია (ონომატურ-

ში): ვა — ულვაში, ვა — რკო, ვა — ხშირი, ვაცა — შეშის ნაჭერი.

ხახინა ხმირანტები: ზ ს. საკმაოდ ბევრია: ზა — ერთი, ზა — გავრცელებული მორფემა, ზალ'ა — ხიდი, ზამა — ომი, სა? — რა? სგ — მე, სფა — მტვერი; სტა — თიკანი, სგ — ხე.

ხახინ-შიშინა ხმირანტები. ზ|ს| გააჩნია უბიხურსა და აფხაზურის ბზიფურ დიალექტს. ხშირია ს| : ს|ა — სამი, სგს|გ — ღამე, ს|აღ'ა — როდის? სპფხ'ა — მული ან ცოლის და, სგბ — წიხლის კვრა; ზ|ა — ზმნ. ძირი, ხოლმეობითის აღმნიშვნელი, ზ|ყა/ზ|ღა — მარჯვენა, ზ|აღ'ა — ავადმყოფობა, ზგნთგუ — ბუ.

ხახინ-შიშინა ლაბიალიზებული ხმირანტები. ზ|'ს|' საკმად ბევრია: ზ|'ა — ცა, ზ|'აძგ — თოვლი, ზ|'ა — ხარშვა, ზ|'აფსგ — საღამო, ს|'გ — თქვენ, ს|'ა — თეთრი, ს|'აბა — ბარძაყი, ს|'ანგ — თაფლი.

შიშინა პალატალიზებული ხმირანტები ჟ შ. ჟ ძალიან ცოტაა: ჟგ — ლარნაკი, ჟაუა — ჩრდილი, შ ბევრია: შაშა — რძლის დედა, შგ — ჩვენ, შგ — წილი, ნაწილი, შ'ხგ — ხუთი, შგღ'ა — მწიფობის დრო, შგკლაუა — საქანელა.

შიშინა მაგარი ხმირანტები: ჟ შ. ჟ ძალიან ცოტაა, შ კი — საკმაოდ ბევრი. ჟაკ'ა — წვერი, ჟა — შეშის ნაფოტი, ჟამა — ჩქარი, შა — თავი, შ|ხ'ა — ძალა, ძლიერი, შანთა — ფანჯარა, შ|ა(ნ)ჯა — ზურგი, შანგ — მაგიდა, შ|აყ'ა — სადავე, შ|გუბა — ცისარტყელა, შ|გუ — კერა.

შიშინა ლაბიალიზებული ხმირანტები ჟ' შ'. შ' მეტია. ჟ'გ — ათი, ჟ'გ — ბებერი, შ'ა — წელი, შ'აბლა — ქვეყანა, შ'ა — ასი, შ'გუპა — ღამე, შ'გჯ — ვალი.

შუაენისმიერი ხმირანტები 'ღ და 'ხ აქვთ უბიხურსა და ადიღურს. 'ღ ძალიან იშვიათია. ანლაუტში მხოლოდ ერთ სიტყვაშია: 'ღა — მამაკაცის ორგანო. 'ხა — ჭიაყელა, 'ხა — სისხლძარღვი, დგ'ხაუ — საცერი / ფგ'ხაუ, თ'ხგლ' — წიგნი, შ'ხა — პარასკევი, შ'ხგ — ხუთი, 'ხასა — დაღლა, 'ხასთა — საქონელი, ლ'ა'ხა — მთა (ტყიანი).

უკანაენისმიერი ხმირანტები ღ ხ. ღ საკმაოდ გავრცელებულია. ღ-, ღა- ხშირად ხმარებული სახელური და ზმნური ფორმანტებია. ღაბგ — მაგარი, ღაწა — თანდებული -ში. ხაქ'გ — ქურა, ხგშა — ტანსაცმელი.

პალატალიზებული ღ᷑ ხ᷑. ღ᷑ ცოტაა, ხ᷑მეტია; ღ᷑ და ხ᷑ აქვს უბიხურსა და აფხაზურს. ღ᷑ა — საქონლის ხორცი. ღ᷑აკ᷑ა — გვერდი, ხ᷑ა — ბაგა, საჯინიბო, ხ᷑აცა — ჩქარი, ხ᷑ა — მსხალი, ხ᷑გ — მთავარი, თავადი.

ლაბიალიზებული ღ᷒ ხ᷒ საკმაოდ ხშირია. ღ᷒ა — ბოლი, ღ᷒ა — რვა, ღ᷒ვნა — საზღვარი, ხ᷒ადა — ნაყიდი, ხ᷒ა — პროსო, ხ᷒გ — ხვადი.

ფარინგალიზებული ღ ხ არის მხოლოდ უბიხურში. ეს ფონემებიც ცოტაა: ღ — დაბადება, ღაბა — ძალა, ღაყა — ლურჯი, მწვანე, ჭ᷑აღგ — თავშესაფარი, ხაბზგ — გუბე, ხაშ — ნიჩაბი, ხგხ — წრე, ფხა — დავარდნა.

ფარინგალიზებულ-ლაბიალიზებული ღ᷒ ხ᷒ აქვს მხოლოდ უბიხურს. ღ᷒-თი დაწყებული ძირი არ არსებობს. ბლაღ᷒ა — ბრმა, ჭაბლაღ᷒ა — უდაბნო ანუ ბრმა ველი, ხ᷒ა — ღორი, ხ᷒გხ᷒და — ხოხვა.

ლარინგალურ ჰ სპირანტს აკლია მჟღერი მეწყვილე. ჰ არის მხოლოდ ნასესხებ სიტყვებსა და შორისდებულებში. ერთადერთ სიტყვაშია ჰგნდა — ახლა, დღეს (ად. დირთანაა ჰედდა).

სონანტები

წყვილბაგისმიერი (ბილაბიალური) უ ძალიან ხშირია. უა — ღმერთი, უანა-ის (ნაცვ.) უალ᷑ა — ისინი, უაჭ᷑და — გაზაფხული, უა — ზმნ. აფიქსი, უას᷑ა —წყევლა, უატ᷒ — გასვლა, უგ — მე-2 პირის ნიშანი (მხ. რიცხვის), უგწ᷑ა — რკინა.

ფარინგალიზებული უ ძალიან ცოტაა. უა — ძაღლი, უაბლა — ხარბი, უანჯა — ხვაშიადი.

ნაზალური ბილაბიალური მ სონანტი ძალიან ბევრია, გვხდება როგორც ძირისეულ, ისე აფიქსისეულ მასალაში: მა — უარყოფის აფიქსი, მა — ზმნ. პრეფიქსი, მაწ᷑ — დილა, მაჭ — ცოტა, მგს᷑ა — დღე, მგშ᷑ა — დათვი, მგს᷑გ — ყურძენი, მგხგ — სიძე, მგღ᷑ა — გზა (ამათგან ბევრია აფხაზურთან საერთო ფუძე).

ფარინგალიზებული მ ძალიან ცოტაა: მა — ვაშლი, მაშ᷒გ —

გარეული ვაშლი, მაშ'ა — გაჭირვება, მაძგ — ჭირხლი.

ენაკბილისმიერი ნაზალური ნ ძალიან გავრცელებულია ძირეულ და აფიქსისეულ მასალაში. -ნ,-ნა — ირიბი ბრუნვის ნიშნები. ნასხ'გ — სიდედრი, ნაჲნშ' — ახალგაზრდა კაცი, ნდღა — მზე, ნგბჟგ — წლოვანება, ნგჭ — იღლია, ნჯა — ბაყაყი, ნაბა — ნისლი.

ნუნისმიერი მთრთოლი რ ანლაუტში მხოლოდ ერთ სიტყვაშია: რაყ'ა — ტოტი, წანაზარდი, არის ხმაბაძვით რამდენიმე სიტყვაში, მაგ.: ხ'გხ'გრდა / ხ'გხ'და — სრიალი, მაგ., გველის.

შუაენისმიერი ი ძალიან ბევრია. იგნა — ეს, იგცი'ა — მიწა, ია — დარტყმა, იაზა — ობოლი, იატ'ა — ოფლი. იგ — მორფოლოგიური ელემენტი, ხშირად გამოყენებადი.

ლატერალი სპირანტები: ლ და ლ'. საკმაოდ ბევრია. ლა — ჯარი, ლა — კურდღელი, ლაკ'გმა — ყური, -ლაჭ — თანდებული კენ, ლაჯა — ქვა, ლაყ'გ — ხბო, ლ'ა — სისხლი, გვარი, ლ'ჲაპა ფეხი, ლაჲშ'ა — ადათი, წესი, ლ'ჲღდა —ცხოველის ნაშიერი. ლ'ამაშ'ა — მუხლი, ლ'ა(ნ)ც'ა — ფეხის თითი. ლ'აყ'გ — საბნისი, ლ'გ — ირემი. სპირანტი ლატერალებისაგან განსხვავებით უფრო იშვიათია აფრიკატი ლ': ლ'აღა / ლ'გღა — სიმამაცე, ლ'გჭა — მსახური (იხ. გვ. 21)...

ფონეტიკური პროცესები

სპონტანური ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია გ ქ კ-ს პალატალიზაცია. ძნელია ამ პროცესის პოზიციურობის დადგენა. ეს პროცესი უფრო ღრმადაც კი მიდის: გ'ქ'კ' → გ'ქ'კ'; მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ლაბიალიზებული გ'ქ'კ'-ს რიგი. ასევე მოხდა ჭ-სა და ყ-ს პალატალიზაცია, ზოგიერთი რიგის ფარინგალიზაცია. ზოგიერთ შემთხვევაში აშკარაა ფარინგალიზაციის მეორეულობა. ლაბიალიზებული ხშულების ზოგიერთი რიგი (დ'თ'ტ', გ'ქ'კ') კომპლექსებიდან მომდინარე ჩანს, რასაც ამტკიცებს ქ. ლომთათიძე აფხაზურ-აბაზურის მიმართ. ეს ფონემები აშკარად განსხვავებულია სისინა ლაბიალიზებული აფრიკატებისა და სპირანტებისაგან.

ბგერათკომბლექსები. უბიხურში ასეთი წესები მოქმედებს: თავ-

კიდურა და ბოლოკიდურა კომპლექსები ერთნაირია იმ შემთხვევაში, როცა ბოლოკიდურა კომპლექსები მომდინარეობენ ორი მორფემის შეერთების შედეგად. საერთოდ ენისთვის დამახასიათებელია თავკიდურა კომპლექსები. კომპლექსი არ შედგება სამზე მეტი წევრისაგან, ჩვეულებრივია ორწევრა კომპლექსი. სამწევრიანი სულ ორი კომპლექსია: აფსთან — სივდება, იბერება, (ძირია ფსთ) და ნდღ — ნდღა (მზე). აქ ნ განვითარებული ჩანს.

მეორე წევრის არტიკულაცია განსაზღვრავს წინა წევრისას: თუ იგი მაღერია, წინა წევრიც მაღერი იქნება; თუ ყრუა, წინა წევრიც ყრუ იქნება. თუ მომდევნო წევრი ყელხშულია, წინა წევრიც იქნება ყელხშული ან ყრუ.

პირველ წევრად არასოდეს არ არის აფრიკატი და ლაბიალიზებული ფონემა. არის ერთი გამონაკლისი: ს˚ტ — წიხლის კვრა. ფოგტის აზრით უნდა მომდინარეობდეს ტგრყ˚-სგან.

ყველაზე ხშირად ანლაუტში პირველ წევრად გვხვდება ბილაბიალური ხშულები. ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის ფ: ფრ, ფლ˚, ფს, ფსˌ, ფშ, ფშˌ, ფხ, ფხ˚, ფხ˚, ფჩ, ფჩˌ, ფჯ, ფჯ˚.

ფ-ს მოსდევს ბ: ბრ. ბლ, ბზ, ბზˌ, ბჟ, ბღ, ბღ˚, ბდ

ყველაზე მცირე ჯგუფს ქმნის პ: პლ˚, პწ, პწˌ, პჭ, პყ, პყ˚

ეს კომპლექსები ჰ. ფოგტის მიერაა დადგენილი. დენტალური ხშულებიდან თავკიდურად კომპლექსში გვხვდება თ: თხ, თხ˚, თხ˚, თ'ხ, სტ,... დ და ტ თითო-ოროლა მაგალითს იძლევა, ასევე ცოტაა ანლაუტში სიბილანტები (სპირანტები). თავკიდურ პოზიციაში არის ნ, მ ფონემების მცირე რაოდენობა. ნ განვითარებული უნდა იყოს თითქოსდა დაუშლელ მრავალმარცვლიან სიტყვებში ინლაუტში გვხვდება სონანტების (მ, ნ, რ) მქონე კომპლექსები...

ძირეული მორფემების სტრუქტურა

C (ə): ჭ — ჭამა, ფ — მოწყენა, ჴ˚ — ყეფა, კ˚ — მოკვლა

CV: ჩა — რძე, ჭა — ახალგაზრდა, ყა — სიტყვა, გ˚ჶ — გული, ქ˚ჶ — ურემი

CVC: სˌასˌ — დარტყმა, ფჶრ — ფრენა, ქ˚ჶფ — ჯგუფი

CCV: ბზა — ენა, ბლა — თვალი, სტა — თიკანი

CVCV: ჭ̓აბჟა — ქმარი, კაცი, ცჱცცა — ხალხი, წჱსჱჱ — პატარა.

მახვილი სუსტია და მოძრავი. ის ხან გადმოდის განსაზღვრულობის ა-სა და დეტერმინანტ პრეპოზიციულ ნაწილაკებზე, ხან — არა. ასეთი წესია ერთმარცვლიან სიტყვებში: ცი̓ჱ → აც̓ — ხარი, ჩჱ → აჩჱ — ცხენი (გამონაკლისია). ორმარცვლიან სიტყვებში, თუ მახვილი პირველ მარცვალს მოუდის, ის რჩება. თუ მახვილი ბოლო მარცვალზეა, მაშინ ის ინაცვლებს დართულ ნაწილაკზე:

ფხ̓ა́დჟკ̓ — ქალიშვილი → უ̓აფხ̓ადჟკ̓ — ეს ქალიშვილი.

კ̓აბჟ — მგელი → უ̓აკ̓აბჟ — ეს მგელი.

დახ̓ა́ → ადახ̓ა — ზაფხული.

პრეფიქსი ა გამოხატავს განსაზღვრულ ფორმას, მასზე ჩვეულებრივ გადადის მახვილი: თ̓ჱ → ათ̓ — მამა, მჱზჱ → ამჱზ — ბავშვი. ჱ ხმოვნის რედუქცია ხდება არა მარტო აუსლაუტში, არამედ ინლაუტშიც: მჱღ̓ა́ → ამღ̓ა — გზა. იშვიათია, როცა მახვილი რჩება ჱ ხმოვანზე: ჩჱ → აჩჱ — ცხენი. საინტერესოა, კ̓აბჟ — სიტყვაში „მგელი" ზა-ს დართვით მახვილის პოზიცია არ იცვლება კ̓აბჟ → ზაკ̓აბჟ — რომელიღაც მგელი, შდრ. უ̓აკ̓აბჟ — ეს მგელი.

ფრაზის ბოლოს მახვილიანი მარცვლის ტონი დაბლდება, კითხვით წინადადებაში კი ტონი მაღალია. შესიტყვებებში მახვილი ჩვეულებრივ მეორე წევრზე მოდის, მრავალმარცვლიანებში სხვადასხვანაირი ვითარებაა.

მორფოლოგია

არსებითი სახელი

უბიხურის მორფოლოგიური სტრუქტურა მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ადიღურ (ჩერქეზულ) ენებთან. აფხაზურისაგან განსხვავებით, ამ ენებს არ აქვთ გრამატიკული კლასები, მაგრამ აქვთ ბრუნება. სახელური ჯგუფები ძირითადად სემანტიკური ნიშნების მიხედვითაა გამოყოფილი. სახელს აქვს ზოგადობის, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის, კუთვნილებითობის, ბრუნვის, რიცხვის, კავშირის კატეგორიები. არის როგორც პრეფიქსაცია, ისე სუფიქსაცია.

ზოგადობას ანუ ე. წ. სალექსიკონო ფორმას წარმოადგენს სუფთა ფუძე: ჩჷ — ცხენი, ცᵊჷმა — სახლი, თჷთ — კაცი, ყა — სიტყვა, შაა — თავი.

განსაზღვრულობას გამოხატავს ა- თავსართი. ის, რიცხვის განურჩევლად, დაერთვის სუფთა ფუძეს. მახვილი ჩვეულებრივ მასზე გადადის: თᵊჷ → ათᵊ — მამა, მჷზჷ → ამჷზ — ბავშვი, მჷღ´ა → ამღ´ა — გზა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მახვილი იშვიათად რჩება თავის პირვანდელ ადგილზე: ჩჷ → აჩჷ — ცხენი. საინტერესო მორფონოლოგიური ფაქტია: განსაზღვრულობის არტიკლი ა- და III პირის ნიშანი ა- განსხვავდება მახვილის ადგილით. სახელურ სინტაგმაში მახვილი განსაზღვრულობის არტიკლზეა, პრედიკატულ სახელურ სინტაგმაში კი — თავის ადგილზე (გ. შარაშიძე): ჳა — ძაღლი, ა-ჳა — განსაზღვრ. ფორმა, ა-ჳა-Øა — ის ძაღლია.

განუსაზღვრელობა შეიძლება გამოიხატოს **ზა** „ერთი" რიცხვითი სახელის დართვით, რაც თითქმის ყველა ენაშია შესაძლებელი: ზახ´ჷ — ერთი მთავარი, ზა-სთან ერთად გამოიყენება ხოლმე სუფიქსი გᵊარა — რაღაც: ზა-თჷთ-გᵊარა — ერთი კაცი ვიღაც, ზა-მსᵻა-გᵊარა — ერთი დღე რომელიღაც. ასეთი გამონათქვამი უკვე შესიტყვებას წარმოადგენს. უფრო იშვიათად ოდენ -გᵊარა შეიძლება იყოს გამოყენებული: მჷზჷ-გᵊარა — ბავშვი რომელიღაც. ასეთი წარმოება

თითქოს მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვებთან შეინიშნება.

განსაზღვრულობის ა- თავსართი შეუთავსებელია ჩვენებით და კუთვნილებით პრეფიქსებთან.

ბრუნება ქართულ სამეცნიერო სკოლას აფხაზურ-აბაზური სახელების უბრუნველობა არქაულად მიაჩნია. გათვალისწინებულია საკუთარ სახელებსა და პირის ნაცვალსახელების უბრუნველობა ერგატივში (ადიღური და უბიხური ენები). ჟ. დიუმეზილს კი მიაჩნია, პირიქით; აფხაზურის ვითარება მეორეულად წარმოუდგენია, ადიღური და უბიხური ენების ბრუნება შემცირებულად.

უბიხურში 2 ბრუნვაა: პირდაპირი და ირიბი. პირდაპირ ბრუნვას წარმოადგენს სუფთა ფუძე, ნულოვანი მაწარმოებლით. ირიბი ბრუნვის ნიშანია მხ. რიცხვში -ნ (ხმოვნის შემდეგ), გნ (თანხმოვნის შემდეგ), მრავლობით რიცხვში — ნა. პირდაპირ ბრუნვაში მრავლობითი რიცხვი არ გამოიხატება. ამ შემთხვევაში სიმრავლე გამოიხატება ზმნაში:

ათგთ ჰაყა — კაცი გარბის, შდრ. ათგთ აჰაყა-ნ — კაცი გარბიან ანუ კაცები გარბიან.

პირდაპირი ბრუნვა გამოხატავს გარდაუვალი ზმნის სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს: აფხ'ადგკ' აკ'ან — ქალიშვილი მიდის (გარდაუვალი ზმნის S), ათგთ ა-ზ-ბგეან — კაცი (=კაცს) ვხედავ (პირდაპირი O).

ირიბი ბრუნვა გამოხატავს გარდამავალი ზმნის სუბიექტსა და ირიბ ობიექტს:

ათგთ-ნა აბგეან — კაცები ხედავენ (გარდამავ. ზმნის S),

სგთ'-გნ ჲგ-ს-ყაყა — ჩემს მამას ვუთხარი (ირიბი O).

ამგზნა ჲგ-ს-თ'ყა — ბავშვებს მივეცი (ირიბი ობიექტი)

ირიბი ბრუნვა გამოხატავს **გარდაქცევითობასაც**:

ახ'გნ შყა — მთავრად იქცა. მას ასევე აქვს **ლოკატიურობის** გადმოცემის შესაძლებლობაც: ზაც'გეან — ერთ სახლში. -ნა სუფიქსმა შეიძლება გამოხატოს მფლობელის სიმრავლე: ახ'გნა აღაც'გეა — თავადების მათი სახლი.

თანდებულიანი ბრუნვები. უბიხურში მრავალმნიშვნელიანი მორფემებია, რომლებსაც ლოკატიური ბრუნვების ფუნქცია ეკისრებათ.

ყველაზე უფრო გავრცელებულია აუნ || აუნგ, უნგ → ღნგ (ა-ზე) და-ბოლოებულ ფუძეებთან) მორფემა. იგი ერთვის ფუძეს და გამოხატავს:

ინსტრუმენტალისს: ყაპღნგ — ხელით, ჩღნგ — ცხენით ჯჩღნგ — ჯოხით;

მიმართულებითს: ზა-ჭაჭა-უნგ — ერთი მხრით, სგღ'ა სღნგ — ჩემი მხრით;

ტრანსლატივს: ა-შანთ'ღნგ — ფანჯრის გავლით, უანთ'ღნგ — იმ კარით;

აბლატივს: დ'გ — გარეთ ად'ღნგ — გარედან, ად'გღღნგ აიკ'აყა — მოვიდა გარედან;

დროს აღნიშნავს: ასგსიტყ'აუნგ — შუაღამეს.

ხშირად ხმარებულია -ღა სუფიქსი სხვადასხვა ლოკატიური მნიშვნელობით: ინესივის, ადესივის, ილატივ-ალატივის... მაგალითად, ა-ცი'გდა-ღა — სახლში, ა-ჯ'ა-ღა — ველზე... ადგღა-ღა — კავკასიაში (გ. შარაშიძე).

რიცხვი. მრავლობითი რიცხვის გამოხატვა, როგორც აღვნიშნეთ, უბიხურში თავისებურია. პირდაპირ ბრუნვაში იგი არ გამოიხატება, გამოიხატება ირიბ ბრუნვასა და ზმნაში, ასევე კუთვნილებით და ჩვენებით ნაცვალსახელებში, ასევე, ბუნებრივია, პირის ნაცვალსახელებში (მსაზღვრელის როლში).

სახელის მხ. და მრ. რიცხვების გამოხატვა:

პირდ. ბრუნვა : თგთ — კაცი, ჩგ — ცხენი

პირდ. ბრუნვა : თგთ — კაცები, ჩგ — ცხენები

ირიბ. ბრუნვა : თგთ-გ-ნ — კაცმა, ცხენმა; თგთ-ნა — კაცებმა... ჩგ-ნა — ცხენებმა...

ნაცვალსახელი

პირის

მხ. რ.	მრ. რ.
I. სგღ'ა — მე	I. შგღ'ალ'ა‖შა-ლ'ა•

II. უგღ'ა || ღ'ა — შენ II. სი'გღ'ა — თქვენ || სი'გღ'ალ'ა || სი'ალ'ა*

ეს ნაცვალსახელები არ იბრუნვის, ღ'ა ფორმანტი შეიძლება შევუდაროთ აფხაზურ -რა-ს (სარა— მე) და ქართული -ნა-ს (მენა, შენ).

III პირში გამოიყენება ჩვენებითი ნაცვალსახელები (შდრ. ქართულს).

პირდ. ბრუნვა: დგ-ნა — ეს დგ-ლ'ა — ესენი
უა-ნა — ის უა-ლ'ა — ისინი

ეს ნაცვალსახელები იბრუნვის:

პირდ. ბრუნვა: დგნა — ეს დგლ'ა — ესენი
ირიბი ბრუნვა: დგნა-ნ — ამან დგლ'ა-ნა — ამათ
პირდ. ბრუნვა: უანა — ის უალ'ა — ისინი
ირიბი ბრუნვა: უანა-ნ — იმან უალ'ა-ნა — იმათ

მსაზღვრელის როლში გამოიყენება პრეპოზიციულად:

დგ-თგთ — ეს კაცი დგლ'ა-ათგთ — ესენი კაცი (=კაცები)
უა-თგთ — ის კაცი უალ'ა-ათგთ — ისინი კაცი (=კაცები)

როგორც ვხედავთ, ჩვენებით ნაცვალსახელებში დაპირისპირებულია ეს ~ ის, განსხვავებით აფხაზურისგან, ქართულისგან (ეს, ეგ, ის). მრავლობითი რიცხვის (სახელებში) გამოხატვისას ფორმდება საზღვრული, მსაზღვრელის (მფლობელის) ამსახველი კუთვნილებითი აფიქსებით, რომლებიც წარმოადგენენ პირის ნაცვალსახელთა ძირეულ მორფემებს. ასეა პირველ ორ პირში (მხოლოობითშიც და მრავლობითშიც); რადგანაც მე-3 პირის ნაცვალსახელი ენას არ გააჩნია, აქაც გამოიყენება ჩვენებითი ნაცვალსახელები. აფხაზურისაგან განსხვავებით, უბიხურში კუთვნილებითი აფიქსები განირჩევა საზღვრულის რიცხვით, ე. ი. გრამატიკული რიცხვი გამოხატულია კუთვნილებით აფიქსებში მაშინ, როდესაც თვით საზღვრული ნეიტრალური რჩება:

მხ. რიცხვი მრ. რიცხვი
I პ. სგ — ჩემი I პ. ს-აუ — ჩემები → სუ

---

* მრ. რიცხვის ფორმები ლ'ა-ს გარეშე იხმარება მხოლოდ პოსესიურ სინტაგმებში.

II პ. უგ — შენი
III პ. ღა — მისი

II პ. უ-აუ — შენები → უუ
III პ. ღა-უ — მისები → ღუ

მრ. რიცხვი
I პ. შგ — ჩვენი
II პ. სი᷄გ — თქვენი
III პ. აღა — მათი

მრ. რ.
I პ. შ-აუ — ჩვენები → შუ
II პ. სი᷄-აუ — თქვენები → სი᷄უ
III პ. აღა-უ — მათები → აღუ

მე-3 პირში გამოიყენება კუთვნილებითი ნაცვალსახელის ძირი ღა და აღა (მრ. რ.).

მხ. რიცხვი
I სგღ᷄ა სგჩგ — ჩემი ცხენი
II უგღ᷄ა უგჩგ — შენი ცხენი
III ღაჩგ — მისი ცხენი

მრ. რიცხვი
I სგღ᷄ა სღჩგ — ჩემები ცხენი (=ცხენები)
II უგღ᷄ა უღჩგ — შენები ცხენი („ „)
III ღღჩგ — მისები ცხენი („ „)

მხ. რიცხვი
I შგღ᷄ა შგჩგ — ჩვენი ცხენი
II სი᷄გღ᷄ა სი᷄გჩგ — თქვენი ცხენი
III აღაჩგ — მათი ცხენი

მრ. რიცხვი
შგღ᷄ა შღჩგ — ჩვენები ცხენი (ცხენები)
სი᷄გღ᷄ა სი᷄ღჩგ — თქვენები ცხენი („ „)
სი᷄გღ᷄ა აღ᷄ღჩგ — მათები ცხენი („ „)

ნაცვალსახელის გამოტოვება სავსებით შესაძლებელია, სახელისა კი — არა. სახელი თუ მრ. რიცხვშია, დაისმის ირიბ ბრუნვაში და თუ მხოლოობით რიცხვშია, მაშინ პირდაპირ ბრუნვაში. მაგალითად: ახ᷄გ ღაჯ᷄ა — თავადი მისი-ვაჟი (თავადის ვაჟი) და ახ᷄გ-ნა აღა-ლა — თავადების მათი-ჯარი. როგორც ვხედავთ, მფლობელის მრავლობითობა ორჯერაა გამოხატული: -ნა ირიბი ბრუნვის ნიშანი მრავლობით რიცხვში და -აღა — კუთვნილებითი პრეფიქსი მე-3 პირის მრავლობითი რიცხვისა. ასევეა: აფხ᷄ადგკ᷄-ნა აღა-ცი᷄გაა — გოგონების მათი-სახლი.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები წარმოადგენს პირის ნაცვალსახელის ძირეულ მორფემაზე დართულ სტატიკური ზმნის ინფინიტურ ფორმას. ხ~(უ)ხ᷄ა „ყოფნა“ ზმნა რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლეა.

მხ. რიცხვი მრ. რიცხვი

სგღ'ა სგ-ხ — ჩემი (ის, რაც მე მეკუთვნის)	სგღ'ა სგუხ'ა — ჩემები
უგღ'ა უგ-ხ — შენი	უგღ'ა უგუხ'ა — შენები
უანა-ხ — მისი	უალ'ანა-ხ — მისები
დანა-ხ — ამისი	დგლ'ანა-ხ — ამისები

განუსაზღვრელი ნაცვალსახელებია ზა- ერთი, ვიღაც, გ'არა — ვიღაც. ჩვეულებრივ ორივე ფორმანტი იხმარება ერთად: ზა-თგთ-გ'არა — ერთი ვიღაც კაცი; ზა-მს|'ა-გ'არა — ერთ დღეს; შესაძლებელია, მაგრამ იშვიათად ცალ-ცალკე იქნენ ხმარებულნი (ნ. გვ. 26). ზაუგლა — ვიღაცეები, იგი ერთვის სახელს.

განსაზღვრული ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებს აღა — თითონ, პირადად; მაშა — თითოეული, შაშგნ — ყოველი, მგს|'ა-შაშგნ — ყოველ დღე.

კითხვითი ნაცვალსახელები შგ? — ვინ? სა? — რა? ორივე იბრუნვის შგ-ნ, სა-ნ, შგ-ნა (მრ. რ.). მხოლოდ შგ დაირთავს -ნა ფორმანტს, ოღონდ იმ შემთხვევაში, როცა სტატიკური ზმნაა, ასევე მიერთვის კითხვითობის დ: დგლ'ა შგ-ნა-დ? (ესენი ვინც მრ. რ.-კითხვ.) — ვინ არიან ესენი?

სჳ'ა? — როგორი? საძა? — რომელი? უგღ'ა უგჩგ საძაი? — შენი ცხენი რომელია? საგ'ჯხგ? — რამდენი? საბა? — რატომ?

მიმართებითი ნაცვალსახელის გამოსახატავად გამოიყენება მიმართებითი მორფემა დგ-. დგ-მს|'ა — დღე, რომელიც; დღა-ჯ'ა — ვისი შვილიც, რომელიც... (გ. შარაშიძე).

უარყოფითი ნაცვალსახელი ზაგ'გ — არაფერი, არავინ.

კავშირს გამოხატავს -გ'გ და -ალა ფორმანტები. ისინი ერთვიან ყველა წევრს:

სგღ'ა-გ'გ სგთ'-გ'გ — მე და ჩემი მამა და.

სგნ-ჯლა სგთ'-ჯლა სგნჯყაყა — ჩემმა დედამ და ჩემმა მამამ და მითხრეს.

ათგთ-გ'გ აფხ'ადგკ'-გ'გ — კაცი და ქალი და (ე. ი. კაციც, ქალიც).

-ალა შეიძლება დაერთოს მხოლოდ ბოლო წევრს. ამ სუფიქსის დართვა გამორიცხავს ირიბი ბრუნვის ფორმას ერგატივისა და მიცე-

მითის ფუნქციით: სგნა-ლა სგთ'-ალა სგნაყაყა — ჩემმა დედამ და ჩემმა მამამ და მითხრეს. შეიძლება ერთ სიტყვას -გ´გ დაერთოს, მეორეს კი — ალა:

სგღ'ა-გ´გ სგჩ-ალა — მე და ჩემი ცხენი და.

ზედსართავი სახელი

ზედსართავი არსებითისგან თითქმის არაფრით განსხვავდება. ისინი განსხვავდებიან სემანტიკურად. ასევე ზედსართავს აქვს ხარისხის ფორმები. მსაზღვრელი ზედსართავი პოსტპოზიციურია: ზაღა-გ´გძა — ომი დიდი. საზღვრულთან ერთად ის ქმნის კომპოზიტს, ერთ სიტყვას, ერთი მახვილით: აცı'ღგა-გ´გძა — დიდი სახლი. ბრუნვის ნიშანიც მხოლოდ ზედსართავს მოუდის. მრავლობითი რიცხვი ამ შემთხვევაშიც ისევე გამოიხატება, როგორც არსებით სახელში. არის მომენტები, როცა ზედსართავი პრეპოზიციულია: როცა ის მიმღეობურია, წინ უძღვის სახელს; ასევე ზმნურ სინტაგმაში (დამოკიდებულ მიმართებით წინადადებაში), ეპითეტად გამოყენებულ ეთნონიმებთან. მაშინაც, როცა რიცხვითი სახელი მსაზღვრელად გამოდის: ტყ'ა-ბაჭა — ორი მტერი, აღ´ა-ტყ'ა-ხ´-ჩა — მეორე ცხენოსანი; ეთნონიმები: ადგღა-სı'გბლა — ჩერქეზების ქვეყანა, ა̈უგრგს-ფხ´ადგკ' — რუსი ქალიშვილი.

ზედსართავს ხარისხის სამი ფორმა აქვს: **დადებითი** ანუ საწყისი; შედარებითი ცა ფორმანტითაა: ცაცა — პატარა, ცა-ცაცა — უფრო პატარა. სგღ'ა სგჯ'ა ცა-ცაცა — ჩემზე უფრო პატარა. ცა-ბაზı' — უფრო ბებერი. ცა- პრეფიქსთან ერთად შესადარებელს -ჯ'ა სუფიქსიც ემატება და შეიძლება გ´გ-ც დაერთოს: ადთგთ უათგთ-ჯ'ა-გ´გ ცა-ხ´აიშყა — ეს კაცი იმ კაცზე უფრო მდიდარია. აღმატებითი ხარისხი გამოიხატება გ´გღგ ნაწილაკით, რასაც აძლიერებს ადანგ — „ბევრად" სიტყვის დართვა: ჰა — კარგი, ადან აჰაგ´გღგ: ჰა — კარგი, ზედსართავიდან შეიძლება ზმნიზედა მივიღოთ: ჰანგ — კარგად. უგმღ'ა ჰანგ! — ბედნიერი მგზავრობა! (შენი გზა კარგად!).

თანდებული

თანდებული ხშირად ხმარებიდან გამოსული სიტყვაა. იხმარება ისეთიც, რომელიც არ გამოხატავს სივრცეს. გავრცელებულია სახელის პირდაპირი ბრუნვის ფორმაზე (მხ. რ.) კუთვნილებითი აფიქსების თავში დართვით, ბოლოში კი ან ლოკატიური -ღა ან ინსტრუმენტალისის ღნგ ფორმანტების მიერთებით. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ირიბი ბრუნვის -გნ სუფიქსიანი ფორმა; ასეა ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვში დასმულ სახელთან.

თანდებულებია: ბაწა — ქვემოთ, სანჯა — უკან, ბღ'ა — ზე, ჰაფა — წინ...

ანთ'ა ღა-ბღ'ა-უნ — კარი მისი-ზემოთ-ით = კარის ზემოთ

ანთ'ა ღა-სანჯა-ღა — კარი მისი-უკან-ში = კარის უკან

ღაწა — შიგნით თანდებულთან მე-3 პირის კუთვნილებითი ღა აფიქსი აღარ იხმარება, მრავლობით რიცხვში აღა კუთვნილებითი აფიქსის მხოლოდ ა ხმოვანი ჩნდება, რაც ალბათ გამოწვეულია იმით, რომ თანდებული ღა- მარცვლით იწყება. სხვა პირებში კი ჩვეულებრივადაა:

სგღ'ა სგ-ღაწა-ნ — ჩემში; შევადაროთ:

ა-ც'გა ღაწა-ღა — სახლში. როგორც ვხედავთ პირველ ორ პირში ასეთი შესიტყვება ფორმდება როგორც კუთვნილებითობის გამომხატველი მსაზღვრელ-საზღვრული (შდრ. აფხაზური). თანდებულებში, წარმოშობით დამოუკიდებელ სახელებში დაჩრდილულია პირვანდელი სემანტიკა. უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელებთან შესაძლოა თანდებულის უშუალოდ მიერთება: ანთ'ა სანჯაღა — კარს უკან. ადამიანისა და პირის ნაცვალსახელების უმრავლესობასთან დაკავშირება მაინც ძირითადი წესითაა: სგღ'ა ს-ანწ'ჭნ — ჩემს წინ, უანა ღა-ბაწა — მის ქვეშ.

ლაჯ თანდებული ამჟღავნებს განზოგადების ტენდენციას. ის ყოველგვარი კუთვნილებითი აფიქსის გარეშე მიერთვის სახელს, მათ შორის ადამიანის აღმნიშვნელსაც და პირის ნაცვალსახელსაც. მხ. რიცხვში ის პირდაპირ ბრუნვას ერთვის, მრ. რიცხვში კი — ირიბს.

ღა-ნა-ლაჯ — მის დედასთან ~ აღაუ-ნა-ნა-ლაჯ — მათ დედებ-

თან.

გარდა ზემოაღნიშნული წესებისა, არსებობს მესამეც. იგივე ურთიერთობები შეიძლება გამოიხატოს ზმნაში ზმნისწინებით (იმავე თანდებულებით). ამ დროს სახელი დგას ირიბ ბრუნვაში. არცერთ წარმოებას არ ეძლევა უპირატესობა.

რიცხვითი სახელი

რაოდენობითი რიცხვითი სახელები

ზა — ერთი	ტქვ — ექვსი
ტყ'ა — ორი	ბლვ — შვიდი
სꙗ — სამი	ღ'ა — რვა
პლ'ვ — ოთხი	ბღ'ვ — ცხრა
შ'ხვ — ხუთი	ჟ'ვ — ათი

10-დან 20-მდე ჟ'ვ-ს ემატება ერთეულები ყოველგვარი კავშირის გარეშე:

ჟ'ვზა — თერთმეტი	ჟ'ვტქ — თექვსმეტი
ჟ'ვტყ'ა — თორმეტი	ჟ'ვბლ — ჩვიდმეტი
ჟ'ვსꙗ — ცამეტი	ჟ'ვღ'ა — თვრამეტი
ჟ'ვპლ' — თოთხმეტი	ჟ'ვბღ' — ცხრამეტი
ჟ'ვშ'ხ — თხუთმეტი	ტყ'ატ'ვ — ოცი

თვლის სისტემა ოცობითია; ჩაერთვის მწꙗ — ჯერ ნაწილაკი:

ტყ'ა-მწꙗ-ტყ'ატ'ვ — ორმოცი ანუ ორ-ჯერ-ოცი.

სꙗ-მწꙗ-ტყ'ატ'ვ — სამოცი

პლ'ვ-მწꙗ-ტყ'ატ'ვ — ოთხმოცი

შ'ა — ასი, 50 იქნება ტყ'ა-მწꙗ-ტყ'ჲლა + ჟ'ჲლა — ორმოცი + და ათი — და. პარალელურად იხმარება შ'აზა(ნ)ჯა — ასის ნახევარი (შდრ. ერგასი).

„ოცდაათი“ იქნება ტყ'ჲ + ტ'ალა + ჟ'ჲლა

„სამოცდაათი“ — სꙗმწꙗტყ'ატ'ჲლა + ჟ'ჲლა

„ოთხმოცდაათი“ — პლ'ვმწꙗტყ'ატ'ჲლა + ჟ'ჲლა

200 — ტყ'ა-შ'ა (ორი ასი)

300 — სჷ-შ'ა

1000 იქნება მინ (თურქულიდანაა). პ. უსლარს ასეთი მაგალითი მოჰყავს: ტყ'ა-მინ — 2000.

ატრიბუტული რიცხვითი სახელი პრეპოზიციულია. ეს წესი მყარია. თუ ასეთ სინტაგმას რაიმე ნაწილაკი ახლავს, ის ჩვეულებრივ უსწრებს მსაზღვრელ რიცხვით სახელს, მაგრამ იშვიათად ხდება ისიც, რომ ნაწილაკი მოსდევს რიცხვითებს. კომპოზიტ რიცხვით სახელებში, რომლებშიც კოორდინაციის -ალა სუფიქსი გამოიყენება, საზღვრული ჩაერთვის ბოლო სუფიქსის წინ: ტყ'ატ'ჲალაპლ'გ-ქ'აბჟალა — ოცი-და-ოთხი-კაცი-და = 24 კაცი (ჟ. დიუმეზილი). საზღვრული შეიძლება პირველი კოორდინატის წინაც კი ჩაერთოს: ატყ'ატ'გ-ქ'აბჟალა + შ'ხალა — ოცი + კაცი + და + ხუთი + და = 25 კაცი.

რიცხვით სახელიანი სინტაგმა ზმნას რიცხვში არ ითანხმებს. რიცხვით სახელს ასევე არ ეთანხმება რიცხვში დეტერმინანტი ნაცვალსახელები.

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება კუთვნილებითი ნაცვალსახელითა და მრავალფუნქციური -ხ მორფემით: ტყ'ა — ორი, აღა-ტყ'ა-ხ — მეორე, აღა-სჸა-ხ — მესამე. საზღვრული სახელი ჩაერთვის რიგობითი სახელის ძირსა და -ხ სუფიქსს შორის: აღა-ტყ'ა-მსჸა-ხ — მეორე დღეს.

შედგენილ რიგობით სახელებში -ხ მიერთვის ბოლო -ალა ნაწილაკს: აღა+ტყ'ატჲალა+ზჲალა+ხ — ოცდამეერთე. 97-ე მხედარი იქნება: აღა+პლ'გ+მწჸა+ტყ'ატ'ჲალა+ჟ'გბლჲალა+ხ ჩა; ასეულებში ხ სუფიქსი შეიძლება განმეორდეს: აღა+ტყ'აშ'ა+ხ+სჸამწჸტყ'ჲალა+ჩგ+ხ+ჩჲალა — 266-ე მხედარი.

„პირველი" იწარმოება სიტყვიდან ანწ'ი → ანწ'იგხ ან წჸაჩა → აღაწჸა-ჩახ — წინ.

მიახლოებითი რიცხვითი სახელები მიიღება რაოდენობითი რიცხვითი სახელების შეერთებით. ასეთ სახელიან სინტაგმაში სა-

ზღვრული შეიძლება გამეორდეს ყოველი რიცხვითი სახელის მერე ან დაერთოს ბოლოში:

ტყ̓ა-შ̓ა-სჷ-შ̓ა — ორი წელი (თუ) სამი წელი.

ტყ̓ა-სია-მჷსი̓ა — ორი (თუ) სამი დღე.

ჯერობას გამოხატავს მწია ნაწილაკი, რომელსაც ემატება -კ́ა სუფიქსი:

ტყ̓ა-მწია || ტყ̓ა-მწია-კ́ა || ტყ̓ა-კ́ა — ორჯერ.

დანაწევრებითი რიცხვითი სახელის გადმოსაცემად გამოიყენება -დ̓ა სუფიქსი: ტყ̓ადა || ტყ̓ადა — ტყ̓ადა — ორ-ორი.

სახელთა წარმოქმნა, კომპოზიცია

სახელთა წარმოქმნის ძირითადი საშუალებებია ფუძეთა (ძირთა) შეერთება და აფიქსაცია. ძირითადი სახეები მიიღება შემდეგი სახის კომპოზიციით.

I. არსებითი სახელის ფუძე + არსებითი სახელის ფუძე

ფხ́აშ̓მჷზჷ — ოჯახი, ფხ́აშ̓ — ცოლი, მჷზჷ — ბავშვი

ლ́ა‘ხათჷთ— ტყის კაცი (მითოლოგია), ლ́ა‘ხა — ტყიანი მთა, თჷთ — კაცი

ლ́ა‘ხადჷმა — მწყერი, ლ́ა‘ხა — ტყე, დჷმა — ქათამი,

შ̓ჷჯაჶა — ზღვისპირი, შ̓ა — ზღვა, ჯაჶა — ნაპირი

ლ́ჷსტა — ფურირემი, ლ́ჷ — ირემი, სტა — ფური,

ბლაღ̓ჷნღ́ა — სათვალე, ბლა — თვალი, ღ̓ჷნღ́ა — სარკე

თ̓ჷჯაფხ́ა — მამიდა, თ̓ჷ — მამა, ჯაფხ́ა — და

II. არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი:

ნაგ́ჷძა — ბებია, ნა — დედა, გ́ჷძა — დიდი, ლაკ́ჷმახ̓ა — კურდღელი, ლ́აკ́ჷმა — ყურო, ხ̓ა — გრძელი

შ̓ჷსი̓ა — ეგეოსის ზღვა, შ̓ა — ზღვა, სი̓ა — თეთრი

შ̓აჯა — შავი ზღვა, შ̓ა — ზღვა, ჯა — შავი

ბლასḭ́ა — ცრემლი, ბლა — თვალი, სḭ́ა — თეთრი

III. არსებითი სახელი + ზმნური ფუძე

მგღ́ალახ̌ა — მოგზაური, მგღ́ა — გზა, лах̌ — გავლა
აფიქსაცია სიტყვაწარმოებაში ძირითადად სუფიქსურია.

I. კნინობითობის -შ̌(გ) სუფიქსი

შ̌აშ̌ — ტბა, შ̌ა — ზღვა, შ̌ — კნინობითობის მაჩვენებელი, პატარა: დგღ̌გშ̌გ — წრუწუნა, დგღ̌გ — თაგვი, შ̌ — კნინობით. მაწარ.
ცḭ́გაშ̌ — სახლი პატარა, ცḭ́გაა — სახლი, შ̌ — კნინ. მაწარ.
цანგშ̌ — დანა, цანგ — ხმალი, შ̌ — კნინ. სუფიქსი

II. აბსტრაქტულობას გამოხატავს -შ(ა) სუფიქსი.

მგზგშ — ბავშვობა, მგზგ — ბავშვი, -შ — აბსტრ.
აგ́ჯშ — სიბოროტე, აგ́ა — ცუდი, -შ აბსტრ. სუფიქსი.
თგთგშ — ადამიანობა, თგთ — კაცი, -შ აბსტრ.
ფსცშ — სიცხე, ფსცგ — ცხელი, -შ აბსტრ.
ჰაშ — სიკეთე, ჰა — კარგი, -შ აბსტრ.

III. სათავსის, ადგილის აღსანიშნად გამოიყენება -ლ̌ა სუფიქსი.

ჩალ̌ა — რძის ჩასასხმელი,, ჩა — რძე, -ლ̌ა ადგილ. გამომხატ.
მგძგლ̌ა — ეკლის ბუჩქი, მგძგ — ეკალი, -ლ̌ა „ „ „
მგღ́ალ̌ა — ბილიკი, მგღ́ა — გზა -ლ̌ა „ „ „

IV. მოქმედების ადგილის აღმნიშვნელია -შ̌ა სუფიქსი.
გ́ჳგშ̌ა — შესასვლელი, ზმნური ფორმაა სგგ́ჳგნ — შევდივარ
ყ́ათშ̌ა — გაჩერება, „ „ „ სგყ́ათ́გნ — ვდგავარ
ც̌აშ̌ა — ლოგინი, ძილის ადგილი, ც̌ა — ძილი, -შ̌ა სუფიქსი.

V. ინსტრუმენტალისს, იარაღს გამოხატავს აუ (გ) სუფიქსი.
ჩგჳაუგ — უნაგირი, ჩგ — ცხენი
ფხგჳჰაუ — ცოცხი, ფხგჳჰა — ფხეკა, აუ სუფიქსი

VI. ხასიათის აღმნიშვნელია -ფშ სუფიქსი.

გ́გგ́ჲფშა — მშიშარა, გ́გგ́ა — შიში, -ფშა სუფიქსი

მგწაყაფშა — მატყუარა, მგწა — ტყუილი, ყა — ლაპარაკი, -ფშა სუფიქსი

VII. უქონლობის სუფიქსია -ჩჸ

ფსაყაჩჸ — უღონო, ფსა — სული, ყა — თქმა, -ჩჸ სუფიქსი
კ'აჩაჩჸ — უკუდო, კ'აჩა — კუდი, -ჩჸ სუფიქსი
შანგჩჸ — ბოროტი, არასტუმართმოყვარე, შანგ — მაგიდა, -ჩჸ სუფიქსი

VIII. ოდნაობას გამოხატავს ხ'აც'ა პრეფიქსი.

ხ'აც'აფლ'გ — მოწითალო, ფლ'გ — წითელი, -ხ'აც'ა პრეფიქსი.
ხ'აც'ასი'ა — მოთეთრო, სი'ა — თეთრი, -ხ'აც'ა პრეფიქსი.
ამავე ფუნქციით იხმარება -ყ'ა სუფიქსი.
ფსჸყ'ა — მოთბო, ფსჸ — ცხელი -ყ'ა სუფიქსი.
ჲადაყ'ა — ბევრი არა, ჲადა — ბევრი, -ყ' სუფიქსი.

IX. გვაქვს აგრეთვე -ფხა სუფიქსი, -ხ'ა სუფიქსი

ბგჲაფხა — შესანიშნავი, ბგჲა — ნახვა, სუფ. ფხა
მგყაფხა — არსათქმელი, მგ — უარყოფითობის გამომხატველი ნაწილაკი,
ყა — ლაპარაკი, თქმა, ფხა სუფიქსი.
მგშჸფხა — არგასაკეთებელი, მგ — უარყ. ნაწილაკი, შჸ — ქმნა, კეთება
ფხა- სუფიქსი, პრეფიქს-სუფიქსი იშვიათობაა.

ზმნები

უბიხური ზმნა განარჩევს უღლებისა და წარმოქმნის ყველა იმ კატეგორიას, რომელსაც სხვა აფხაზურ-ადიღური ენების ზმნა. ზმნების დაყოფა ხდება დინამიკურობა ~ სტატიკურობის, გარდამავლობა ~ გარდაუვლობის, ფინიტურობა ~ ინფიტურობის მიხედვით. გამოიხატება პირი, რიცხვი, დრო, კილო, ქცევა, კაუზატივი, პოტენციალისი, თანაობა, უარყოფითობა, აბსოლუტივი. ბევრია ლოკატიური და მიმართულებითი პრევერბი, მოდალური და საგარემოებო ნაწილაკი. უხვადაა პრეფიქსებიცა და სუფიქსებიც. არ არის ინფინიტივი. მას ცვლის სხვადასხვა ზმნური ფორმა, გვაქვს გერუნდივების საკმაოდ განვითარებული სისტემა. უბიხურს გააჩნია ბრუნება, მაგრამ პირის ნაცვალსახელები აქაც გაუფორმებელია. ყველა მკვლევარი არ ცნობს ჩდკ ენებში გარდამავლობას (გ. დეეტერსი, ჟ. დიუმეზილი). ჟ. დიუმეზილის აზრით, ეტიმოლოგიურ ანალიზს გარდამავალი უღლება დაჰყავს გარდაუვალზე. ამიტომ ა-ს-ფჳ-ნ — რაღაცას მე ვჭამ, ან ა-ს-ფჳ-ნ — რაღაცეებს ვჭამ, შეიძლება ითარგმნოს როგორც „ის (ან ისინი) მე მეჭმევა", ამიტომაც სუბიექტი დაისმის ირიბ ბრუნვაშიო. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ირიბი ბრუნვა ერგატივის ფუნქციასაც ითავსებს. ავტორით, უბიხების წარმოდგენაში „მე" აქტიური პირია, ამიტომ გრამატიკოსებიც ნ-არიან ბრუნვას ერგატივს უწოდებენო.

ჩდკ ენებში გარდამავლობა ~ გარდაუვლობა განირჩევა როგორც სინტაქსურად, ისე მორფოლოგიურად. გარდამავალ ზმნას უკავშირდება ერგატიული კონსტრუქცია, გარდაუვალს კი — ნომინატიური. აფხაზურში, ბრუნების უქონლობის გამო, გარდამავლობა ~ გარდაუვალობა გამოიხატება პირის ნიშანთა განლაგებით. ზოგჯერ გარდაუვალ ზმნასაც აქვს ერგატიული კონსტრუქცია. ეს ხდება ინვერსიულ ზმნებში, მაგრამ ასეთი ზმნის გარდაუვლობა თავს მაინც იჩენს (ბრძანებითი კილოს წარმოებისას, S პირის ნიშნის არგამჟღერებით). ჯერ კიდევ გ. როზენი წერდა, რომ აფხაზურში ობიექტური პირის ნიშნები არ განსხვავდება სუბიექტური პირის ნიშნებისგანო, მათ განარჩევს აზრი და ადგილმდებარეობა. აფიქსთა განლაგებას, როგორც გარდამავლობა ~ გარდაუვლობის გასარჩევ ნიშანს, ეხება

პ. უსლარი.

გვაქვს 3 რიგი აფიქსებისა:

1. პირდაპირი ბრუნვა (პირდაპირი O-ისა ან გარდაუვალი S-ის ბრუნვა ან ნიშანი)
2. ირიბი ბრუნვა (გარდამავალი, რეალური S-ის ბრუნვა ან ნიშანი)
3. ირიბი ბრუნვა (ირიბი ობიექტის ბრუნვა ან ნიშანი).

როგორც ადიღურ (ჩერქეზულ) ენებში, უბიხურშიც არ განირჩევა გრამატიკული კლასები არც პირის ნაცვალსახელებში, არც პირის ნიშნებში. ჟ. დიუმეზილის აზრით, უბიხურ-ადიღურის ვითარება პირვანდელია, აფხაზურ-აბაზურისა — მეორეული.

პირის ნიშნები

I და II პირის ნიშნები ყველა პოზიციაში ერთნაირია, გარდა ერთი შემთხვევისა: მხ. რიცხვის I პირის ნიშანი და მრ. რიცხვის I და II პირის ნიშნები მჟღერდება მჟღერითა ან უ სონანტით დაწყებულ ძირებთან უშუალო კონტაქტის გამო. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული ნიშნები არათავკიდურებია და აღნიშნავენ გარდამავალი ზმნის სუბიექტს. პირის ნიშნებს ასევე ამჟღერებს ზმნისწინი და გარემოებითი ნაწილაკები, კაუზატივის დგ და ღა მაწარმოებლები.

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I პირი სგ, ს (ზ)	I პირი შგ, (ჟ)
II პირი უ̌გ, უ	II პირი სꟾგ, სꟾ (зꟾ)
III პირი ა, ɑგ, Ø, ნ	III პირი ჲ, ɑგ, ნა

როგორც ვთქვით, მჟღერდება არათავკიდურა პირის ნიშანი. ჟ. დიუმეზილს მოჰყავს ასეთი მაგალითი: უ̌გ-უ̌ა ზ-ბɑა-ყა — შენი ძაღლი ვნახე. აქ ზ (← ს) თითქოს თავკიდურაა, მაგრამ ამ შემთხვევაში უ̌ა ერთვება ზმნაში და თამაშობს მე-3 პირის ნიშნის როლს (შდრ. აფხაზური: აჩჳგ ცოɑტ — ცხენი მიდის და არა აჩჳგ იცოɑტ, აქაც აჩჳგ

ჩაანაცვლებს ი ნიშანს).

შედარებით მრავალფეროვანია მე-3 პირის ნიშნები. ჲგ იხმარება პირველ ადგილზე და აღნიშნავს ან გარდაუვალი ზმნის სუბიექტს და ან პირდაპირ ობიექტს. ჲგ ა-სთან დამატებით დისტრიბუციაშია, ჲგ მხოლოდ მაშინაა წარმოდგენილი, თუ მის მომდევნოდ მე-3 პირის ნიშანი Ø ნულითაა წარმოდგენილი. ა დგას პირველ ადგილზე და გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მას მოსდევს ორივე რიცხვის I ან II პირის ნიშნები და ასევე III პირის მრ. რიცხვის ნიშანი. ამდენად გვექნება: ა-სგ, ა-შგ (მრ. რ.), ა-უგ, ა-ს᲻გ (მრ. რ.), ა-ჟ → ჟ (III პ. მრ. რ.). საერთოდ, მე-3 პირის ნიშანთა ხმარება ძალიან ინდივიდუალურია მე-2 ადგილზე მდგომი მე-3 პირის ნიშანი (ირიბი ობიექტი ან გარდამავალი ზმნის სუბიექტი) მხ. რიცხვში Ø-ია, მრ. რიცხვში — ჟ:

უგ-Ø-ბიგა-ნ — (ის) შენ გხედავს;

უ-ჟ-ბიგა-ნ — ისინი შენ გხედავენ.

სამპირიან ზმნაში მე-3 პირის ნიშანი (გარდამავალი ზმნის სუბიექტი) არის -ნ მხ. რიცხვში და -ნა მრ. რიცხვში. ზოგჯერ შეიძლება ეს ნიშნები ჩავარდეს, თუ აღნიშნავენ ირიბ ობიექტს და გარდამავალი ზმნის სუბიექტს, მე-2 ადგილზე მდგომ პირის ნიშნებთან.

ზოგადი მნიშვნელობის გამოსახატავად შეიძლება გამოყენებულ იქნეს და, განუსაზღვრელი მორფემა, პირდაპირი ობიექტის მაგივრად:

ა-ზ-ბიგ-ნ — მას მე ვხედავ, და

და-ზ-ბიგა-ნ — მე საერთოდ ვხედავ ანუ ბრმა არა ვარ.

ასევე შეიძლება გამოტოვებულ იქნეს ირიბი ობიექტის ნიშანი, და სამპირიანი ზმნა იქცეს ორპირიან გარდამავლად:

ჲგ- Ø-ს-თ᲻გ-ნ — მას მას მე ვაძლევ → ა-ს-თ᲻გ-ნ — მას ვაძლევ.

ირიბი ობიექტის ნიშანი შეიძლება გარდაუვალმა ორპირიანმა ზმნამაც დაკარგოს, ამ დროს მახვილიც შეიცვლის ადგილს:

სგ-Ø-და-ნ — მე მას ვურტყამ → სგ-და-ნ — ვარტყამ

უგ-სგ-მგღგ-ნ — შენ მე მაღელვებ → უგ-მგღგ-ნ — შენ ღელავ.

მე-3 პირის ნიშანთან შეიძლება ხმარებულ იქნეს ირიბი მიმარ-

თების ჯ- პრეფიქსთან ერთად კუთვნილებითი პრეფიქსი ღა- (მხ. რ.) და ა-ღა (მრ. რ.).

უგ-ღჯ-ძღა-ნ — ეკითხები მას და უ-აღჯ-ძღა-ნ — ეკითხები მათ.

ორპირიანი ზმნების (გარდაუვალის) ერთ ჯგუფში იხმარება სახელური ლოკატიური ღა თანდებული. შეიძლება გარდამავალი ზმნის სუბიექტის ნიშანიც კი დაიკარგოს, მაგრამ ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება.

მე-2 პირში თითქოს არის კვალი ხა ნიშნისა, რომელიც მხოლოდ ქალთან მიმართებაში გამოიყენებოდა, ასევე მრ. რიცხვის II პირის ნიშნადაც, რასაც ხსნიან პატივისცემის გამოხატვის შესაძლო საშუალებად (ჟ. დიუმეზილი). ასევე მხ. რიცხვის უ(გ) ნიშნის მაგივრად ზოგჯერ ხმარობენ მრ. რიცხვის სი̯გ ნიშანს, რაც ასევე პატივს მიაგებს მოსაუბრეს. არის ვარაუდი, რომ ეს თურქულის გავლენით უნდა იყოსო.

ამგვარად, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მოხსენებული, I ადგილზე მდგარი პირდაპირი ობიექტის ნიშანი იკარგვის, ასევე — მეორე ადგილზე მდგარი ირიბი ობიექტის აღმნიშვნელი. იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება მე-3 ადგილზე მდგარი სუბიექტის ნიშანიც დაიკარგოს. გამოდის, რომ ნიშნები იცვლიან ადგილს: I ადგილზე მყოფი ნიშანი მხოლოდ I ადგილზე შეიძლება იდგეს, II ადგილზე მდგომი შეიძლება I ადგილზე აღმოჩნდეს, ხოლო III ადგილზე მდგომი კი შესაძლებელია ყველა ადგილზე იყოს.

გ. შარაშიძის გამოკვლევით, თუ პირდაპირი ობიექტისა და გარდამავალი ზმნის სუბიექტის ნიშნები ერთდროულად იკარგება, მაშინ ზმნა იქცევა ნაზმნარ სახელად: ზა-ჩგ (-)-ჭა-(-)ბზ̯ათ̓-ყა — ცხენი მიბმული. აქ გამოტოვებულია ა (პირდ. O) და ნ (S). ზმნა იქნებოდა ა-ჭა-ნ-ბზ̯ათ̓-ყა — ის (ბოლოზე) მან მიაბა.

რაც შეეხება პირის ნიშნების წარმომავლობას, პირველი ორი პირი ორივე რიცხვისა პირის ნაცვალსახელების ძირეული მორფემებია. რაც შეეხება III პირის ნიშანს, იგი ჩვენებითი ნაცვალსახელის ძირეული მორფემებია:

ძგ ← ძგ-ნა, რაც შეეხება ა ნიშანს, ის განსაზღვრებითი არტიკლია. იგი გამოხატავს ჩვენებითობას ა-ნა-ნ — „იქ“ ზმნიზედაში, ასევე

ა-ღ'ა „თვითონ" ნაცვალსახელში. დიუმეზილის აზრით, ნ იშვიათად ხმარებული ჩვენებითი ფუძეა, შემორჩენილი ნა-ღა „იქ" ზმნიზედაში.

სტატიკურობა-დინამიკურობა

სტატიკური და დინამიკური ზმნები მორფოლოგიურად განსხვავებულები არიან. სტატიკური გარდაუვალია ერთ- ან ორპირიანი. დინამიკური ზმნები ერთ-, ორ- და სამპირიანებია, ზოგი გარდამავალი, ზოგიც — გარდაუვალი.

სტატიკური ზმნები იყოფა პირველად (ზის, წევს, დგას...) და ნაწარმოებად (კაცია, ლამაზია...). პირველადი ზმნები ძალიან ცოტაა, ნაწარმოებნი კი — ძალიან ბევრი. ნებისმიერი სახელი შეიძლება იქცეს სტატიკურ ზმნად. ამისათვის სახელს პრეფიქსად მიერთვის პირის ნიშნები:

სგ-ხ'გ — მე თავადი (ვარ), უგ-ჭა — შენ ბედნიერი (ხარ)

სტატიკურ ზმნას კოპულა არა აქვს ისევე, როგორც ადიღეურს, განსხვავებით აფხაზურისა და ყაბარდოულისგან. სახელი პირდაპირ ჩაერთვის ზმნურ პარადიგმაში: პირის ნიშანი პრეფიქსია, სუფიქსად მხოლოდ მრ. რიცხვის -ნ ნიშანი ემატება: შგ-ჭა-ნ — ჩვენ ბედნიერები ვართ. სი'გ-ხ'გ-ნ -- თქვენ თავადები ხართ.

უარყოფით ფორმაში იხმარება -მა სუფიქსი:

უგ-ჭა-მა — შენ ბედნიერი არა (ხარ), ჯ-გ'გძა-ნა-მა — ისინი დიდები არა (არ არიან).

ამ ზმნებს ორი დრო აქვთ: აწმყო და ნამყო განუსაზღვრელი, რაც მათი სემანტიკის გათვალისწინებით გასაგები ხდება. ნამყო განუსაზღვრელის ფორმანტი მხ. რიცხვში არის -ჲტ სუფიქსი, მრ. რიცხვში — ჲლ'. ამ მწკრივს ჟ. დიუმეზილი ნამყო უსრულს ეძახის (l'imparfait), გ. შარაშიძე კი — პრეტერიტს, რომელსაც დიურატიულობის სემანტიკა ახლავსო.

სგ-ხ'გ-ჲტ — მე თავადი ვიყავი, შგ-ხ'გ-ჲლ' — ჩვენ თავადი (თავადები) ვიყავით. უარყოფითობა აქაც -მა სუფიქსითაა გამოატული:

ა-გ'გძა-ჲტ-მა — ის დიდი არ იყო. ჯ-გ'გძა-ჲლ'ა-მა — ისინი დიდი

არ იყვნენ.

ასეთ ნასახელარ ზმნაში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს პოსესიურობის აფიქსი: უგ-ჯ̌ა — შენ ხარ შვილი, უგ-სგ-ჯ̌ა — შენ ჩემი შვილი (ხარ); სი̯გ-საუ--ჯ̌ა-ნ — თქვენ ჩემები შვილი (შვილები) (ხართ).

პირველადი სტატიკური ზმნები ძალიან ცოტაა. ისინი მხოლოდ პრევერბებთან ერთად იხმარებიან. ეს ზმნები რიცხვში ფუძემონაცვლეებია.

სგ-გ́გ-ს — მე რაღაცაზე ვზივარ, უგ-გ́გ-ს — შენ ზიხარ. ს ძირი არის „ყოფნა ჯდომით“. მრ. რიცხვშია ზი̯ა̯ ფუძე: ს~ზი̯ა̯ შგ-გ́გ-ზი̯ა-ნ — ჩვენ რაღაცაზე ვსხედვართ.

ასევე რიცხვში მონაცვლე ზმნებია: თ̯/თ (სიტყვის ბოლოს) ~ ̯ხა — ზეზე ყოფნა. ღ ~ ღ́ა — რაღაცასთან ყოფნა. ეს ზმნა ჭონაყოლის მნიშვნელობით გამოიყენება. თ~ხ́ — ყოფნა, ა-ლა-თ — ის იქ არის ~ ჲ-ლა-ხ́ა-ნ — ისინი იქ არიან. სგ-ლა-მგ-თ — არ ვარ, შგ-ლა-მგ-ხ́ა-ნ — არ ვართ. ასეთ ზმნებს დინამიკურებისნაირად შეიძლება ეწარმოოთ ნამყო სრული. სტატიკური ზმნების მრ. რიცხვის ფორმები წარმოადგენს დინამიკურ ზმნებს.

პირველადი სტატიკური ზმნები ძალიან ცოტაა, მაგრამ ისინი ხშირად არიან გამოყენებული. (ა)ლა-თ ხშირად კოპულის როლს ასრულებს. ორპირიან სტატიკურებში S-ისა და ირიბი O-ის ნიშნები ისეა გადმოცემული, როგორც დინამიკურებში:

სგღ̯ა უგ-სგ-ჯ — შენ ჩემთან ხარ, შგ-Ø-ჯგ-ნ — ჩვენ მასთან ვართ;

ჲგ-Ø-ჯ — ის მასთან არის, უ-ჲ-ჯ — შენ მათთან ხარ.

დინამიკური ზმნები გამოირჩევა უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიების სიმრავლით.

აწმყო დროის ნიშანია სუფიქსი -ნ (მხ. რ.), -ჲ მრ. რიცხვის ნიშანია.

ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა კ́ა — სვლა.

	მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
I პ.	ს-კ́ა-ნ	მივდივარ	I პ. შ-კ́ჲ-ნ	მივდივართ

II პ.	უგ-კ'ა-ნ	II პ.	სი̯-კ'ი̯-ნ
III პ.	(ა)-კ'ა-ნ	III პ.	ა-კ'ი̯-ნ

ორპირიანი გარდაუვალი ზმნა ძა — ცემა, დარტყმა

სგ-უგ-ძა-ნ	გცემ შენ	უგ-შგ-ძა-ნ	გვცემ ჩვენ
სგ-ძა-ნ	ვცემ მას	სი̯გ-შგ-ძა-ნ	გვცემთ ჩვენ
სგ-სი̯გ-ძა-ნ	გცემთ თქვენ მე	ა-სგ-ძა-ნ	მცემს მე
ს-ი̯-ძა-ნ	ვცემ მათ	ა-შგ-ძა-ნ	გვცემს ჩვენ
უგ-სგ-ძა-ნ	მცემ მე	ა-უგ-ძა-ნ	გცემს შენ
სი̯გ-სგ-ძა-ნ	მცემთ მე	ა-სი̯გ-ძა-ნ	გცემთ თქვენ იგი
ა-Ø-ძი̯-ნ	გცემენ თქვენ	ა-უგ-ძი̯-ნ	გცემენ შენ
ა-Ø-ძა-ნ	სცემს მას		
ა-ძი̯-ნ	სცემს მათ		

ორპირიანი გარდამავალი ზმნა ბძი̯- — დანახვა

უგ-ზ-ბძა-ნ — გხედავ შენ (ს გამჟღერებელია)

ა-ზ-ბძი̯-ნ — ვხედავ მათ

სი̯გ-ზ-ბძი̯-ნ — გხედავთ თქვენ

(ძგ)-Ø-ბძა-ნ — ხედავს მას

(ძგ)-Ø-ბძი̯-ნ — ხედავს მათ

სგ-ზი̯-ბძი̯-ნ — მხედავთ მე

სგ-უ-ბძა-ნ — მხედავ მე

(ა) ზი̯-ბძი̯-ნ — ხედავთ მას

ა-Ø-ბძა-ნ — ხედავს მას

ა-Ø-ბძი̯-ნ — ხედავს მათ და ა. შ.

სამპირიანი გარდამავალი ზმნა თ'გ — მიცემა (შდრ. აფხ. ათარა)

უგ-ს-თ'გ-ნ — გაძლევ მას შენ

ა-სგ-უ-თ'გ-ნ — მაძლევ მას შენ

სგ-უგ-ნ-თ'გ-ნ — გაძლევს შენ ჩემს თავს

ა-სგ-უ-თ'-ი̯-ნ — მაძლევ მათ შენ მე

ა-შგ-სი̯-თ̆-ჲ-ნ — გვაძლევთ თქვენ მას ჩვენ

სგ-სი̯გ-ნა-თ̆-ჲ-ნ — გაძლევენ თქვენ ისინი ჩემს თავს

ა-სი̯გ-ნჲ-თ̆-ჲ-ნ — გაძლევენ თქვენ ისინი მათ

უარყოფითი ფორმები აწმყო დროში მ- პრეფიქსით იწარმოება:

სგ-მ-კ̆ა-ნ — არ მივდივარ, შგ-მ-კ̆ჲ-ნ — არ მივდივართ

სგ-უგ-მგ-და-ნ — მე შენ არ გირტყამ

უგ-სგ-მ-ბდა-ნ — შენ არ გხედავ

ა-უგ-სგ-მ-თ̆გ-ნ — შენ არ გაძლევ მას

ა-სგ-ნგ-მ-თ̆გ-ნ — იგი მე მას არ მაძლევს

გარკვეული ჯგუფის ორპირიანი ზმნები თავისებურებას ავლენს: ირიბი ობიექტის ნიშანი ერთვის არა პრევერბს, არამედ ლოკატიურ -ღა სუფიქსს და აქვს მნიშვნელობა „მომდევნოდ, შემდეგ“:

ა-ზ-ღა-ხ̆აჩა-ნ — ის მე მომდევს, მეძებს, ხ̆აჩა — ზმნური ძირი.

სგ-Ø-ღა-ლა-ნ — მე მას ვუერთდები

პრევერბებითა და ე. წ. დეტერმინანტებით (ასე უწოდებს ჟ. დიუმეზილი, აფხაზურში ფუძე-წინდებულებადაა ცნობილი) გართულებული ზმნები. ღ̆ჲ — მიმართულების პრევერბი, ჲგ — სააქეთო მიმართულების: ტ̆გ — გასვლა, სგ-ღ̆ჲ-ტ̆გ-ნ — გავდივარ გარეთ, შგ-ღ̆ჲ-ტ̆-ჲ-ნ — გავდივართ, უგ-ღ̆ჲ-ტ̆გ-ნ — გადიხარ, ა-ღ̆ჲ-ტ̆-ჲ-ნ — გადიან, სგ-ჲგ-კ̆ა-ნ — მოვდივარ, სგ-ჲგ-კ̆ა-ყა — მოვედი (აორისტი), სგ-ჲ(გ)-ჯგ-ნ — ვბრუნდები. ა-ჲ(გ)-ზ-უგ-ნ — მომაქვს, მომყავს. მხოლოდ ერთ ზმნასთან, ჭა — სირბილი, არის პრევერბი ჲა. ჟ. დიუმეზილი ფიქრობს, რომ ჲგ-შ — კეთება ზმნაში გამოიყოფა ჲ(გ) პრევერბი: ჲგ-შ ← ჲ-შ — ყოფნა, გახდომა = აქეთ ყოფნა ანუ გახდომა, ასევე — კეთება. სხვა პრევერბებია: უა- სგ-უა-უგ-ნ — შევდივარ რაღაცაში (უა — ში, შიგნით), სგ-ბაწა-ტ̆გ-ნ — ქვეშიდან გავდივარ.

უარყოფითი ფორმა იქნება: სგ-ღ̆ჲ-მე-ტ̆გ-ნ — არ გავდივარ.

ორპირიანი გარდაუვალი ზმნა:

სგ-უ-ბღ̆ა-კ̆ა-ნ — მე შენ-ზე მოვდივარ ანუ გამარცხებ.

სგ-ზი̯-ბღ̆ა-კ̆ჲ-ნ — თქვენ გამარცხებთ მე

ს-ჲ-ბღ᷄ა-კ᷄ჲ-ნ — მათ ვამარცხებ

უგ-ზ-ბღ᷄ა-კ᷄ა-ნ — შენ გამარცხებ

უ-ჲ-ბღ᷄ა-კ᷄ა-ნ — მათ ამარცხებ

შგ-ზ᷈-ბღ᷄ა-კ᷄ჲ-ნ — თქვენ გამარცხებთ ჩვენ

Ø-ა-ბღ᷄ა-კ᷄ჲ-ნ — ის მათ ამარცხებს

ორპირიანი ქა- პრევერბიანი გარდამავალი ქა-ყ — გაჭრა ზმნა:

უგ-ქა-ს-ყგ-ნ — შენ გჭრი უგ-ქა-ნ-ყგ-ნ — ის გჭრის

(ა)-ქა-ს-ყგ-ნ — მას ვჭრი უგ-ქა-ნჲ-ყგ-ნ — ისინი გჭრიან შენ

ა-ქა-ს-ყ-ჲან — მათ ვჭრი სგ-ქა-ს᲻-ყ-ჲან — მჭრით თქვენ

ს᲻გ-ქა-შ-ყ-ჲან — გჭრით ჩვენ თქვენ

უარყოფითი ფორმა იქნება: უგ-ქა-სგ-მ-ყგ-ნ — შენ მე არ გჭრი. გარდამავალ ზმნებში სუბიექტის ნიშანი ჩაირთვის პრევერბსა და ძირს შორის, გარდაუვალებში კი S-ის ნიშანი პრევერბის წინაა (შდრ. აფხ.) პრევერბები და დეტერმინანტები ცვლიან ზმნის სემანტიკას. დეტერმინანტები დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებია. მაგალითად, მგღ᷄ა — გზა, სგ-მღ᷄ა-უგ-ნ — მე გზა შევდივარ ანუ ვიწყებ.

ხმარებული დეტერმინანტები და პრევერბები:

ბლა — შორის, რაღაც ვიწროში, ბღ᷄ა — ზემოთ

ბაწა — ქვეშ, -დან, ქა — ზე, გგ᷄ — ზე, სა — ში, ლა — ში, ღ᷄ა — დან, ზ᷄ა — ზემოდან.

ჩა — ცხენი, შა — თავი, ლ᲻ა — ფეხი, ც᲻ა — კანი, გ᷄გქა — მკერდი, ჭა — პირი.

დეტერმინანტი ზმნაში ჩართულიცაა და ცალკეც იხმარება:

ა-ჩგნ სგ-Ø-ბღ᷄ა-უგ-სგ-ნ — ცხენ(ზე) მე-ზე-ავდივარ და

სგ-ჩა-ბღ᷄ა-უგ-სგ-ნ — მე-ცხენი-ზე-ავდივარ.

უბიხურში ჟ. დიუმეზილი აღნიშნავს კვალს მიმართულებაში დაპირისპირებისა, რაც დამახასიათებელია ჩდკ ენებისთვის — იქეთ-აქეთ. ასეთი წყვილები უნდა იყოს, ტ᲻(გ) — გასვლა მოლაპარაკე პირისგან იქეთ, ვისაც ელაპარაკებიან მისკენ, გარდაუვ. დინამიკური

ზმნა ~ ტ'ა — გაყვანა, მოლაპარაკე პირისკენ აქეთ, გარდამავალი დინამიკური ზმნა. ღ(გ) — ჩამოკიდებულად ყოფნა, სტატ. ზმნა ~ ღა — ჩამოკიდება.

მთელ რიგ ზმნებში გამოიყოფა დინამიკურობის უ(გ) ~ ქ'ა ელემენტები (მრ. რ.) უგ-ს, უგ-თ', უგ-ტ' — მნიშვნელობას იძენს პრევერბების მიხედვით. უგ-ღა, უგ-ღ'ა — შეკრება, უგ-ჯ ~ ქ'ა-ჯ — წაყვანა (მხ. ~ მრ.).

გ. როგავას აზრით, დინამიკურობის უგ აფიქსი გარდა მყოფადი დროისა, უბიხურში უნდა გვქონოდა სხვაგანაც. ავტორის მიხედვით, დღეს ზოგიერთ ზმნაში აღარ შეიცნობა; ზოგი ფუძისეული მარტივი თანხმოვანი -უა სუფიქსთან შერწყმით გვაძლევს დ'-თ'-ტ' ← *დ+უა, *თ+უა, *ტ+უა ფონემებს. მაგალითად, სგ-ლა-თ — ვარ (სტატ. ზმნა). აქედან მიღებულია დინამიკური ზმნა: ა-ზ-ლა-თ'გ-ნ (*აზლათ + უგ-ნ) — ჩემს უკან ვტოვებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გავრცელებულია ძირთა მონაცვლეობა მხ. რ. ~ მრ. რიცხვის მიხედვით: თ'~'ხა — ყოფნა (ზეზე), ს~ზ¸'ა — ყოფნა (ჯდომით), ღ~ღ´ა — ყოფნა (ვერტიკალურად). ეს სტატიკური ზმნები ანუ პირველადი სტატიკური ზმნები მხოლოდ პრევერბებთან ერთადაა. აქედან პირველი ორი მონაწილეობს როგორც მე-2 ელემენტი რთულ დინამიკურ ზმნებში. ოპოზიცია მხ.~მრ. აქაც შენარჩუნებულია.

და-თ'~და-'ხა — ადგომა. სგ-და-თ'გ-ნ — ვდგები, შგ-და-'ხგ-ნ — ვდგებით.

ყ'ა-თ'~ყ'ა-'ხა — გაჩერება. სგ-ყ'ა-თ'გ-ნ — ვჩერდები, შგ-ყ'ა-'ხ´ა-ნ — ვჩერდებით.

ტ'ა-ს~ტ'ა-ზ¸'ა — დაჯდომა. სგ-ტ'ა-სგ-ნ — ვჯდები, შგ-ტ'ა-ზ¸'ა-ნ — ვსხდებით.

რთულ ზმნებში, მეორე წევრად, ხშირად გამოიყენება დინამიკური ზმნური წყვილი, ფუძემონაცვლე მხოლობითი ~ მრავლობითი რიცხვების მიხედვით, უ~ქ'ა — შესვლა. ასეთი ზმნები იწარმოება პრევერბებითა და დეტერმინანტებით, გარდა კაუზატიური წარმოებისა:

ა-ზ-გ´გჭა-ჩა-უ-ყა — ის-ჩემ-მკერდზე-დავარდა (ნამყო დრო).

შგ-უა-ჩა-ქ'ა-ყა-ნ — ჩვენ მასში ჩავვარდით.

ბაწა-ჩა-უ-ყა — ქვეშ დავარდა.

არის ისეთი ზმნებიც, რომლებშიც უ~ქ'ა პირველ წევრად გამოდის:

Ø-Ø-და-სგ-უ-ტ'-ყა — (ის) (მის)-ქვეშ-მე-გამოვიყვანე.

Ø-Ø-და-სგ-ქ'ა-ტ'-ყა-ნ — (ისინი) (მის)-ქვეშ-მე-გამოვიყვანე.

არის ზმნები, რომელთა ორივე შემადგენელი ნაწილი რიცხვის მიხედვით მონაცვლეა. პირველი წყვილი დინამიკური ზმნაა, მეორე წყვილი — სტატიკური: უ-თ'~ქ'ა-'ხა, უგ-ს~ქ'ა-ზ'ა;

სგ-Ø+ბღ'ა-უგ-სგ-ნ — მე რაღაცაზე ვჯდები

შგ-Ø-ბღ'ა-ქ'ა-ზ'ე-ნ — ჩვენ რაღაცაზე ვსხდებით. შევადაროთ სგ-ბღ'ა-ს ~ შგ-ბღ'ა-ზ'ე-ნ — სტატიკ. ზმნა რაღაცაზე ვზივარ ~ ვსხედვართ უ-ქ'ა — შესვლა, გარდაუვალი ზმნაა. მგღ'ა-უგ~მგღ'ა-ქ'ა — დაწყება, ს.ს-ით გზაზე შესვლა. მასთანაა დაკავშირებული ზმნის გადინამიკურება: სგ-ბღ'ა-ს — ვზივარ → სგ-ბღ'ა-უგ-სგ-ნ — ვჯდები, კაუზატივს კი უკვე გარდამავლობა მოსდევს: უგ-ბღ'ა-სგ-უ-სგ-ნ — მე შენ გსვამ ~ ს'ე-ბღ'ა-ზღა-ქ'ა-ზ'ა-ნ — თქვენ მე გსვამთ.

რთული ზმნები სხვა გზითაც მიიღება.

1) ძირების შეერთებით: ჭაკ'ა — სირბილი ← ჭა — გაქცევა + კა' — სიარული. ფლ'აყ'ა — თვლა ← ფლ'ა — ყურება + ყ'ა — დაჭერა.

2) არსებითი სახელის ძირი + ზმნის ძირი: ჯგყ — დამარილება ← ჯგ — მარილი + ყ — ზმნური ფორმანტი.

გ'ეხ'ა — შიმშილი ← გ'ე — გული+ხ'ა — ჩამოქცევა

არის გაორმაგებული ხმაბაძვითი ფუძეები:

შგშ — მოფერება, ბგბ — ჭექის ხმა, ხახა — გაკვირვება, ბზაბზა — ძაგძაგი.

დროების წარმოება

უბიხურში დროების სამი ჯგუფია: აწმყოს, მყოფადისა და ნამყოს.

აწმყოს ჯგუფში ორი დროა: აწმყო და ნამყო უსრული.

აწმყოში ფუძეს ერთვის მხ. რიცხვში **-ნ** სუფიქსი და მრ. რიცხვში -ჲნ სუფიქსი. უარყოფითი ფორმა იწარმოება **მ-** პრეფიქსით: სგ-მ-ჷ́ა-ნ — არ მივდივარ.

ნამყო უსრული ემყარება აწმყოს. მაწარმოებლებია: -ეტ სუფიქსი მხ. რიცხვში და -ელ'ა მრ. რიცხვში. ზმნის დაბოლოება იქნება: -ნა+ეტ (მხ. რ.) და ჲნა-ელ' (მრ. რ.). უარყოფა აქ სუფიქსურია: -ნაეტ+მა და ჲნაელ'+მა.

მყოფადის ჯგუფში ოთხი დროა წარმოდგენილი.

მყოფადი I (კატეგორიული). ზმნის ფუძეს ერთვის -აუ (მხ. რ.) და -ნა-უ (მრ. რ.) მაწარმოებლები. უარყოფით ფორმებში გამოიყენება თ'/თ „ყოფნა" კოპულა ზმნის აწმყო დროის უარყოფითი ფორმები. თანხმოვნით გათავებულ ზმნის ძირებს მოსდევს ა ხმოვანი + კოპულას უარყოფითი ფორმა. მრ. რიცხვში -ნა ჩაერთვება ძირსა და კოპულას უარყოფით ფორმას შორის.

მყოფადი II (შესაძლებელი). I მყოფადის ფორმას დაერთვის -თ ფორმანტი: -აუ-თ (მხ. რ.) და -ნ-აუ-თ (მრ. რ.). უარყოფითი ფორმები იქნება: -აუ-მგ-თ (მხ. რ.) და -ნ-აუ-მგ-თ (მრ. რ.).

პირობითი: I მყოფადის ფორმას დაერთვის -ეტ (მხ. რ.) და -ელ' (მრ. რ.): -აუგეტ და -ნ-აუგ+ელ'. უარყოფითობის **-მა** ფორმანტი ბოლოში ერთვის: -აუგეტ+მა (მხ. რ.) და -ნაუგელ'ა-მა (მრ. რ.)

მყოფადი წარსულში: ეს დრო ემყარება II მყოფადის ფორმას, მაგრამ რაკი კოპულა არაფინალურ პოზიციაშია, გვაქვს თ̓ (თ-ს მონაცვლე არაფინალურ პოზიციაში), რ ემატება აორისტის მაწარმოებლები: -აუ-თ̓-ყა (მხ. რ.) და -აუ-თ̓-ყა-ნ (მრ. რ.). უარყოფითი ფორმები იქნება: -აუ-თ̓-ყა-მა (მხ. რ.) და -აუ-თ̓-ყა-ნა-მა (მრ. რ.).

აორისტის ჯგუფში 2 დროა: აორისტი და ნამყო წინარეწარსული.

აორისტი. ზმნის ფუძეს ერთვის -ყა სუფიქსი (მხ. რიცხვში) და -ყა-ნ (მრ. რიცხვში). უარყოფითობის -მა ერთვის სუფიქსად: -ყა-მა (მხ. რიცხვი) და -ყა-ნა-მა (მრ. რიცხვი).

ნამყო წინარე წარსული აორისტის ფუძეს ერთვის ნამყო უსრულის მაწარმოებელი -Დტ (მხ. რიცხვში) და -Დლ' (მრ. რიცხვში). და ვიღებთ ყა-Დტ და ყა-Დლ' ფორმებს მხოლოობითსა და მრავლობით რიცხვში. უარყოფითი -მა ფორმანტი ერთვის სუფიქსად, ყა-Დტ-მა და ყა-Დლ'ა-მა.

ამრიგად, გვაქვს დროთა 3 ჯგუფი: აწმყოს, მყოფადისა და აორისტის.

აწმყო: -ნ, -ჲნ	მყოფადი I: -აუ̯-ნაუ̯	აორისტი: ყა, -ყა-ნ
ნ. უსრული:-ნაᲓტ, ჲნაᲓლ'	მყოფადი II: -აუთ-, -ნაუთ პირობითი: -აუ̯Დტ, -ნაუ̯Დლ' მყ. წარსულში: -აუთ'ყა, -აუთ'ყან	ნამყო წინ. წარსული:-ყაᲓტ, -ყაᲓლ'

